პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი
26 სექტემბერი
№ 222 (18164)
ფასი 2 კაპ.

ყველა რეზერვი — ხუთწლედის სამსახურში

როგორც ცნობილია, 24 სექტემბერს საქართველოში გაიმართა ერთიანი პოლიტდღე, რომლის ერთი ძირითადი იყო „უმკაცრესი ეკონომიის, ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ ხუთწლედის რეზერვია“. ... — საწარმოებში და ... ექსპერიმენტებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ... ადგილის მიხედვით ... პოლიტიკური აქტიურობა ... ვითარებაში ჩაიარა შეხვედრებმა, გულახდილმა დიალოგებმა, სხვა პროპაგანდისტულმა ... ინიციატივებმა. მათი მონაწილეებმა, დაინტერესებით ... XXVI ყრილობა-და საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში საიუბილეოზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ... ჩამოყალიბებული ... -დარიგებებისა და მითითებების, ამ საარსებო მნიშვნელოვანი საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესახებ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის შემდგომი ... ტერიალური რეზერვების, მატერიალური რესურსების უფრო რაციონალური ... ნების შესახებ. ... ელთა ყურადღებას მიექცა ... ერთიანი პოლიტდღის ... ის საქინფორმის კორესპონდენტთა მიერ მომზადებულ რამდენიმე ინფორმაციას. ... ართველოს სსრ სახმომარაგების კოლექტივის შეწყობილ, ... ორგანიზებულ მუშაობაზე ... ორად ანალიზებული მატერიალური რესურსების მომჭირნეობისა და რაციონალური ... ნების რეჟიმის გაძლიერებ-... პრაქტიკულად რესპუბლიკის ... ლების მეურნეობის ყველა ... ში. სწორედ ამიტომ აქ გართულ ერთიან პოლიტდღეზე ... ლებს ჰქონდა კონკრეტული ... ბისაინი, მთელიანად იყო მოყ... ული ციფრები, ფაქტები თი... ული დარგის მიხედვით. ... განსაკუთრებული ყურადღება ... ომო ნორმატივების გამკაცრებ-... ს, სასარგებლო წიაღისეულთა ... ონიანი გამოყენების, უდანაკარგოდ მათი მოპოვებისა და გამოშვების საკითხებს. აღინიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს კონტროლი ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და ... მატერიალური რესურსების ... ეონალური გამოყენებისადმი. ... ძოდ, მოიყვანეს ასეთი მაგალითი. მასალატევადობის ერთი ... ოენტით შემცირებას შეუძლია რესპუბლიკის ეროვნული შეფასება 1985 წლის 110 მილიონ მანეთით გაზარდოს. ... ველი პრინციპულობით აღინიშნა, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ რესპუბლიკაში არსებული მეორეული ნედლეულის რეზერვები. ითქვა, რომ ... ველ გაუმჯობესებას საჭიროებს ჯართის, მაკულატურის, ... ული საფეიქრო მასალებისა და სხვათა შეგროვება. ამასთან ... ადკავშირებით აღინიშნა, ... ველ დაიზეიფოს მეორეული ... ველთულის შეგროვების ორგანიზაციის მთელი სისტემა, როგორც რესპუბლიკის სახალხო ... ნეობის შემდგომი აღმავლობა ... ისებითი რეზერვია. ... ოვანი ჰიდროენერგეტიკული ... ძის მშენებლობაზე კარგ-... ი იცნობენ გვირაბგამყვანთა ... ადას, რომელსაც სულეიმან ... ე მეთაურობს. მოწინავე კოლ-... ტივი ბევრი საყურადღებო ... ითი თაოსნობის ინიციატივებ-... ი, რომელიც ფართოდ გავრცელდა მშენებლობაზე. ამის მეშვეობით აქ დღითი დღე სულ უფრო ჩქარდება მუშაობა. გრაფიკში მნიშვნელოვანი გასწრებით ... ა მომავალი ჰიდროკვანძის ... ესტატი გვირაბები. უკვე 60 ... ი შინშველს მიუახლოვდა მოცული წყალსაცავის კაშხალი. 26 ...

საქმეთა გამოაჩინა

მუდამ მოწინავეთა რიგებში



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიამ“ შეასრულა პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა და ნაცვლად 18 მილიონ 980 ათასი მანეთისა მომხმარებელს 18 მილიონ 950 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია მიაწოდა.

საწარმოში 90 სახეობის ნაწარმი მზადდება, აქ დიდი ყურადღება ექცევა სიახლის დანერგვას. ბოლო ორ თვეში, მაგალითად, აითვისეს „საბავშვო შამპუნი“, კრემები — „ვოლგა“ და „ჩებურაშკა“.

საწარმოს მოწინავეთა შორის არის პარფიუმერიის საამქროს დამფასოებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დალი სიდამონიძე. იგი ყოველთვიურ დავალებას გეგმის გადამეტებით ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს საწარმოს წინსვლის საქმეში.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საკვებმომპოვებელთა გარჯა

საბარეჯო. (საკ. კორ. ვლ. მჭედლიშვილი). რაიონში პირუტყვის საკვების დამზადება გაზაფხულიდანვე საყოველთაო სახალხო საქმედ გამოცხადდა. საზოგადოებრივი მეურნეობების საკვებმომპოვებელთა ბრიგადებს ამ საშურ საქმეში ეხმარებოდნენ მემანდვრეები, მეგენახეები, რაიონის მუშა-მოსამსახურეები. საკვების 35 პროცენტზე მეტი ახალგაზრდებმა დაამზადეს.

რაიონის საკვებმომპოვებლებმა უხვში საკვების დამზადების გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით, ნაცვლად 45.000 ტონისა დამზადებულია 45.600 ტონა, მათ შორის სენაჟი დამზადებულია 24.000 ტონა, ანუ გეგმაზე 6.000 ტონით მეტი.

პირუტყვის საკვების დამზადებაში თავი ისახელეს და წლინახევრის მარაგი შექმნეს სოფელ ქაკაბეთის ორივე კოლმეურნეობის, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის, უჯარმოსა და ჩაილურის სანერგე მეურნეობების საკვებმომპოვებლებმა.

შრომის ვახტზე

თბილისი

სამკერვალო ფაბრიკის „ნადეჟდის“ (დირექტორი ე. მამაგეიშვილი) კოლექტივი თავდადებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ღირსეულად დამთავრებისათვის. მან წარმატებით შეასრულა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის რვა თვის გეგმა. შიდასაფაბრიკო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ფაბრიკის მთელი კოლექტივი, განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ის ბრიგადა, რომელსაც გულიკო ფანცხავა ხელმძღვანელობს. ისინი პირველობას არ თმობენ და ყოველთვის გეგმას 120 პროცენტით ასრულებენ.

(„კომ“. კორ.).

ბათუმი

ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა აჭარის საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა. სავაჭრო ორგანიზაციებმა წელს უკვე მიიღეს 21.150 ათასი მანეთის პროდუქცია, რითაც ვადამდე შესრულდა ათი თვის დავალება.

საწარმოში მრავალი სიახლე დაინერგა. აითვისეს ნექტარ „გონიოს“ გამოშვება. მას მანდარინისაგან დაამზადებენ. ახლა საწარმო ციტრუსის ნაყოფს უნარჩენოდ გამოიყენებს, რითაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს მიიღებს. გარდა ამისა დაგეგმილია გამოუშვან ჩაის ექსტრაქტი. (სსკ. კორ.).

საგზოთა დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 25 სექტემბერი. (საკ.ფსი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კადარმა დღეს მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ეს ცხადყო ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა უკანასკნელმა შეხვედრამაც, რომელიც ყირიმში გაიმართა, თქვა მან.

მთელმა ჩვენმა ხალხმა, განაცხადა ა. აპრომ, მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მმართველობისა და „მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი“, რომელიც მიზნად ისახავს გამალებული შეიარაღების აღაგმვას, დაძაბულობის შენელებას, ქვეყნებსა და ხალხებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, და გამოთქვა რწმენა, რომ ხალხთა გაერთიანებული მეცადინეობით შეიძლება აღიკვეთოს საფრთხე, რომელიც მსოფლიოს შეექნა.

საპასუხო სიტყვაში ე. ა. შევარდნაძემ უღრმესი მადლობა მოახსენა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებას უნგრეთში მიწვევისათვის, რომელთანაც საბჭოთა კავშირს ძმური მეგობრობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის განუყოფელი ურთიერთობა აკავშირებს.

წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობა, თქვა ე. ა. შევარდნაძემ. სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ნაყოფიერი თანამშრომლობა ახალ-ახალ სფეროებს მოიცავს, სულ უფრო მდიდარ შინაარსს იძენს. ჩვენი მეგობრობა ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებს, კლასობრივი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობას, ახასიათებს ღრმა ორმხრივი ნდობა და პატივისცემა.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის ხერხემალია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მჭიდრო საბრძოლო კავშირი. ამ ურთიერთობის განუხრელი განვითარება იმ დიდი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგია, რომელსაც არ აკლებენ მას ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ხელმძღვანელები, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ი. კადარი. ჩვენი ხელმძღვანელები გვიჩვენებენ ორი მოძძე ქვეყნის ურთიერთობის საკვანძო საკითხების გადაწყვეტაში ,ღრმა პარტიული, შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშს.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში დიდნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურთიერთობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებას შორის. ჩვენი ქვეყნების პარლამენტართა შეხვედრები კარგ შესაძლებლობებს გვისახავენ საიმისოდ, რომ განვიხილოთ აქტუალური საერდაშორისო პრობლემები, ერთმანეთს გავუზიაროთ ხელისუფლების არჩევითი ორგანოების საქმიანობის გამოცდილება, კიდევ უფრო განვავითაროთ და სრულვყოთ პოლიტიკური სისტემა და სოციალისტური დემოკრატია.

აწლანდელი საერთაშორისო ვითარება რთულია და წინააღმდეგობრივი. არ ჩამქრალა ძველი კრიზისებისა და კონფლიქტების კერები, და ძათ ნიადგე ემატება ახალი დაძაბულობის კერები. მსოფლიოში მოვლენათა ასეთი განვითარების მიზეზები ყოველმხრივ იქნა გაანალიზებული სკკპ XXVI ყრილობაზე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობაზე, სხვა მომძე პარტიების ყრილობებზე.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, დღეს საკვანძო საკითხის არის, რომ „დავაცხროთ საერთაშორისო დაძაბულობა, შევინარჩუნოთ შენელების პროცესი, უზრუნველვყოთ მისი შემდგომი განვითარება“. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ წამოაყენა.

მსოფლიოში ფართო რეზონანსი გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ „მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი“. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებამ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა ამ მიმართვას.

დიდად გვახარებს, რომ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა, მოქმედების ერთიანობა სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრების გავლენიან ფაქტორად გვევლინება.

ჩვენი ქვეყნების ფართო თანამშრომლობა, განაცხადა დასასრულ ე. ა. შევარდნაძემ, საბჭოთა და უნგრელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. როგორც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის 1979 წლის ზაფხულის ვიზიტის დროს, ბუდაპეშტში გამოსვლისას თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, „სწორედ ეს გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობა მაღალი სიტყვით — ვუწოდოთ ძმური“.

სსრ კავშირის ბუდაპეშტის საელჩოში გაიმართა დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. გ. გამყრელიძე) სისტემაში სავალალო ვითარება შეიქმნა, როგორც მშენებლობაში, ისე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. სისტემატურად არ სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა მშენებლობაში. ასე იყო შარშან და ეს სურათი არც წლეულს შეცვლილა. პირველ ნახევარწლეულში ამ დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულებამ 96, 9 პროცენტს მიაღწია. ამასთან შრომის ნაყოფიერების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მხოლოდ 0, 2 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა წლიური დავალება 4, 2 პროცენტს ითვალისწინებს.

8 თვის მანძილზე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 98, 3 პროცენტით შესრულდა, მატებამ განვლილი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0,5 პროცენტი შეადგინა წლის გეგმით გათვალისწინებულ 2,2 პროცენტის ნაცვლად. სამი საწარმოდან ორმა (გარდაბნისა და სამტრედიის სამონტაჟო ნამზადების ქარხნებმა) თავი ვერ გაართვა დავალების შესრულებას.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ხელმძღვანელობას არაერთხელ მეთქვა სამის ცუდი მდგომარეობის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული შრომის ნაყოფიერების ზრდის სამუშაო ჯგუფის სხდომებზე. მაგრამ ხელმძღვანელობის ფლეგმატიკა, უფნარეს ყოველისა, სამმართველოს უფროსის მოადგილის, შრომის საკითხების კურატორის ამხ. ნ. ი. სეთურიძის დაპირების მიუხედავად, დღემდე არ განხორციელებულა ყველა საჭირო ღონისძიება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ნაკლოვანებებია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საქმეში. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის გეგმებს აკლია კონკრეტულობა და ფორმალური ხასიათისაა.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სამრეწველო საწარმოებში მენარდე მუშებმა გამომუშავების ნორმების შესრულების საკმაოდ მაღალ პროცენტს მიაღწეს: განვლილ წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 19, 2 პუნქტით გაიზარდა და 155, 6 პროცენტს მიაღწია, იმ დროს, როცა შრომის ნაყოფიერების მატებამ მხოლოდ 0, 5 პროცენტი შეადგინა. 1980 წელს და წლეულს გამომუშავების ნორმების გადასინჯვის შედეგად არც ერთი კაცი არ გამთავისუფლებულა. სამმართველო არ აანალიზებს სამრეწველო საწარმოებში შრომის ნორმირების სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემებს. საქვეუწყებო საწარმოები სამმართველოს არ აბარებენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციისთვის გაწეული მუშაობის შედეგების ანგარიშს და სტატისტიკურ ორგანოებს დადგენილი წესით არ აწვდიან შესაბამის ანგარიშგებას. საწარმოთა სტატისტიკურ ანგარიშგებაში არ აღინიშნება მონაცემები, რომლებიც ახასიათებს სამუშაო დროის დანაკარგებს მთელი დღისა და ცვლისშიგა მოცდენების გამო.

მუშათა კადრების შენაცვლებადობა 60-70 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების სამინისტროს სისტემაში 20-25 პროცენტი არის. შრომის ნაყოფიერების დონე სამონტაჟო სამუშაოებზე ყველაზე დაბალია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით.

ნაკლოვანებები არის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მისდამი ხელმძღვანელობაშიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსს ამხ. გ. გ. გამყრელიძეს მიეთითა, რომ უფრო მკაცრად უნდა მოსთხოვოს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და სამსახურების ხელმძღვანელებს წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ნ. ი. სეთურიძე გაფრთხილებულია, რომ, თუ არ განახორციელებს შექმნილი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების ღონისძიებებს და არ უზრუნველყოფს მშენებლობაზე და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის 1981 წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას, ამ თანამდებობაზე მისი შემდგომი დატოვების საკითხს განიხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ შემდგომშიც განიხილავს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ცალკეული ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დასახული ამოცანების რეალიზაციას შინდობილ უბნებზე.

(საქინფორმი).

საკვანძო ამოცანა

...ადანი, (სომხეთის სსრ). ...ართული ამერიკაკავკასიის სე... ის მონაწილეებმა დასახეს ... ის ბაზის განტკიცების გზე... ნინილეს საქართველოს, აზე... ანისა და სომხეთის პარტი... საბჭოთა, სამეურნეო ორ... ციების ამოცანები სკკპ ... ყრილობის გადაწყვეტილე... ის მიხედვით საკვებწარმოების ... ომის განვითარებისა და მეცხ... ეობის ეფექტიანობის ამაღ... ის დარგში.

...ავალი სიტყვით სემინარი ... სომხეთის კომპარტიის ... ტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა კ. ს. დემირჩიანმა. ... ბრძანა რესპუბლიკებში შე... ული მოწინავე გამოცდილების, ... ორგანიზაციების და სპეციალისტთა ნაშუშვრების გაზიარ... ის. აღინიშნა, რომ ამერიკაკავკასიის რესპუბლიკებში სოფლის ... ეობა, მათ შორის მეცხო... ობა, დინამიკურად ვითარ... ეს ძირითადად მიღწეულია ... ური ფაქტორების მეშვეობით — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ცხოველთა პროდუქტიულობის გადიდებით.

სემინარის მონაწილენი გაეცნენ შრომის ორგანიზაციას საკვებ-გადამამუშავებელ და სარძეო-მეცხოველეობის კომბინატებში, იყვნენ რაიონის სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში.

საკვების დამზადებასა და მოზარდეულის ინტენსიურ გამოკვებაში რაზდანელთა მუშაობის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის თავიანთი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების, შესახებ ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. დ. მგელაძემ, აზერბაიჯანის კომპარტიის აგდამის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ნ. მუთთალიევმა.

სემინარის მუშაობა შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების სექტორის გამგემ ნ. მ. ტიშჩენკომ.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. მამედოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. გალუმიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ლ. ზაქაიძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე გ. გ. ნავასარდიანი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. გ. ბაზშიევი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მ. მოსკალენკო.

(საქინფორმი — არმენპრესი)

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

24 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ მიიღო ბულგარეთ-საქართველოს სიმპოზიუმის მონაწილენი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „პოლიტიჩესკა პროსვეტას“ მთავარი რედაქტორი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ერთიანი ცენტრის დირექტორი, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი სტეფანე ანგელოვი, ბულგარეთის კომპარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სოციალური მართვის აკადემიის თეორიისა და იდეოლოგიური პროცესების მართვის ცენტრის დირექტორი, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვასილ მომოვი და სხვა ბულგარელი მეცნიერები.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ზნეობრივი აღზრდის დარგში მუშაობის გამოცდილება.

ამბ. სტეფანე ანგელოვმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც დელეგაციას გაუწიეს. მან აღნიშნა, რომ ვითარდება და მტკიცდება ქართველ და ბულგარელ მეცნიერთა ტრადიციული სამეცნიერო კავშირურთიერთობა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ფრანგიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, მოადგილე თ. ჯაფარლი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქალაქო გაზეთი „ტყიბული“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 23 სექტემბერი.

მთავარი ფიგურა პარტიული სწავლების სისტემაში

მეორე წელია სექტემბრის ბოლო შაბათს მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ აღინიშნება პროპაგანდისტის დღე.

ყველა ჩვენთაგან კარგად ახსოვს სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომ პარტიის იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ აქტივს უპირველესი როლი განეკუთვნება მასების მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და აღზრდის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად მათი შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომ განვითარებაში.

და მართლაც, პარტიულ სწავლებაში პროპაგანდისტი მთავარი ფიგურაა. მის შთამაგონებელ სიტყვას შეუძლია გააძლიეროს მშრომელთა ენთუზიაზმი, დარაზმოს ისინი პარტიის დიად წინასწარდახახულებათა განსახორციელებლად.

საყოველთაოდ აღიარებული მოძრაობა „პროპაგანდისტი — ხუთწლედს“ არაერთი სახელოვანი საქმის შემოქმედია.

პროპაგანდისტთა საქმიანობის ნაყოფია მილიონობით მანეთის ეკონომიკური ეფექტი, ათასობით რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, მტკიცე ბრძოლა მატერიალური რესურსების მომპირნე ხარჯვისა და დანაკარგების აღკვეთისათვის.

პროპაგანდისტის დღე ეწყობა ახალი სახსწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამიტომ, ბუნებრივია, პროპაგანდისტთა შეხვედრები ერთმანეთისათვის თავიანთი გამოცდილების გაზიარება შეტად სახარგებლო და ნაყოფიერი იქნება.

მსმენელები კვლავ ელოდებიან პროპაგანდისტის მართალ, შთამაგონებელ, კომუნისტური სულისკვეთებით განმსჭვალულ სიტყვას.

გარჯად გადამდნარი

მან ცხოვრება ისე განვლო, როგორც სურდა. მიაღწია იმას, რაც, მისი აზრით, საჭიროა ბედნიერებისათვის, ადამიანებს უყვართ და პატივს სცემენ. თავდაუზოგავად შრომობს, რადგან უზომოდ შეყვარებულია თავის საქმეზე.

დინჯად, აუღელვებლად უპასუხებს შეკითხვებს. თვალებში ნათელი სხივი უდგება და გატაცებით ყვება ახალგაზრდობისდროინდელ ამბავს. მოგონებებით ივსება ოთახი.

ბენო თევზაძის მშობლები ღარიბი გლეხები იყვნენ და მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მათი მეექვსე შვილი სასახელო ვაჟკაცი გაიზრდებოდა. უჭირდათ შვიდი შვილის გაზრდა, მაგრამ სწავლას მოწყურებული ბიჭისათვის ხელი არ შეუშლიათ. გორმაღალის სკოლაში მიმავალ ბენოს კი არც გზის სიშორე და არც სხვა სიძნელეები არ აშინებდა. სამტრედიის პედაგოგიური ტექნიკუმი რომ დაამთავრა და ვანში ქართულ ლიტერატურასა და გეოგრაფიას ასწავლიდა, თვითონ რომ იყო გამოცდილი, ალბათ იმიტომ იყო ისე ყურადღებიანი და მზრუნველი ყველა ხელმოკლე მოსწავლისადმი.

მერე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ცხენოსანთა არტილერიაში მსახურობდა. ასე დაინყო მისი სამხედრო ცხოვრება 1935 წლიდან.

დიდი სამამულო ომის დროს სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო: იბრძოდა მოზდოკთან, ნოვოროსიისკთან. პოლკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ანაპის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს „კომკავშირული ორგანიზაციის უნარიანი ხელმძღვანელობისა და თავდადებისათვის“.

ახსენდება, საკუთარი თაოსნობით ბატალიონის კომორგებისათვის მოწყობილი სემინარები. დაღლილი მებრძოლები როგორი გულისყურით უსმენდნენ, ბენო თავისებურად დინჯად, აუღელვებლად უხსნიდა, არწმუნებდა და ბოლოს მიზანს აღწევდა.

განსაკუთრებულ მოგონებად დარჩა მის ცხოვრებაში ანაპაში, მე-18 არმიის პოლიტსამმართველოს მიერ მოწყობილი ერთკვირიან შეკრებაში მონაწილეობა.

1944 წლიდან პარტიულ სამუშაოზე დააწინაურეს. 1956 წელს მაიორის ჩინით გავიდა დემობილიზაციაში და აგერ უკვე ოცი წელია კომბინატ „საქვაჭრობამონტაჟში“ უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგია.

ბრძოლაშია გამობრძმედილი და ალბათ ამიტომ აქვს ფოლადის სიმტკიცე მის სიტყვას — ხშირად ამბობენ მასზე.

ბენო თევზაძე სანიმუშო პროპაგანდისტია, — მითხრა პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივანმა ნელი ბალამწარაშვილმა. — მსმენელების დაინტერესებისა და მსჯელობაში ჩაბმის გასაოცარი უნარი აქვს, ყველა მისი მეცადინეობა სანიმუშოა.

ეს ჩვეულ პროპაგანდისტული მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე შეიძინა და არაერთხელ გამოიჩინა თავი როგორც უნარიანმა პროპაგანდისტ-ორგანიზატორმა. ამის დასტურია საზოგადოება „ცოდნის“ თუ პარტიის რაიკომის საპატიო სიგელები.

კარგად იცის, სააგიტაციო პროპაგანდისტულმა მუშაობამ ადამიანთა აღზრდისა და მობილიზების თავისი დიდი როლი რომ შეასრულოს, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა ნოემბრის პლენუმზე თქვა, პარტიული სიტყვა შრომითის ენთუზიაზმად, ათმილიონობით კომუნისტისა და უპარტიოს გარჯად რომ გადაადნოს, საჭიროა პროპაგანდა და აგიტაცია მაქსიმალურად საგნობრივი, კონკრეტული, დამაჯერებელი, მგზნებარე იყოს და საქმის ცოდნით უპასუხებდეს ყველა კითხვას, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ.

გამოცდილ ადამიანს ახლაც ღრმად სწამს, რომ პროპაგანდისტი, რაგინდ კვალიფიციური იყოს, ვალდებულია დღენიადაგ იმაღლებდეს ცოდნას, ასწავლიდეს მსმენელებს და პირადადაც სწავლობდეს. სწორედ ამიტომაც იგი ხშირი სტუმარია პოლიტგანათლების კაბინეტისა და ბიბლიოთეკისა, ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე, ეცნობა მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილებას. ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს კარგად მოემზადოს გამოსვლისათვის, გააშუქოს არა მარტო კოლექტივის წარმატებანი, არამედ ნაკლოვანებანიც, დარაზმოს შრომელები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ბენო თევზაძის ცოცხალი, მართალი სიტყვა ყოველთვის აღწევს მიზანს, ღრმად იჭრება მსმენელის გულსა და გონებაში.

ამიტომ იმართება ყოველი მისი მეცადინეობის დროს ცხოველი სჯა-ბაასი, აზრთა გაზიარება.

მეცადინეობისათვის საგულდაგულოდ მომზადებული, თვალსაჩინოებებსაც არ ივიწყებს, თეორიულ დებულებებს უშუალოდ უკავშირებს სანარმოდან აღებულ ფაქტებს.

ბენო თევზაძე ღრმად ჩასნვდა კომბინატის თავისებურებებს, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანია სამაცივრო დანადგართა ტექნიკური მომსახურება, ელექტროძრავის, კომპრესორის, სასწორის, ლიფტის შეკეთება და დამონტაჟება, მათი სათადარიგო ნაწილების დამზადება, ელექტროქურურისა და მილოვანი ელექტროგამთბობის გამოშვება.

იგი შარშან კომბინატში ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ სკოლას.

მისი მსმენელები კომბინატის თითქმის ყველა უბანზე შრომობენ. კომბინატში ტრადიციად დამკვიდრდა: კარგი მსმენელი ის არის, ვინც მიღებულ ცოდნას საწარმოს წინსვლას ახმარს და სასწავლო წლის დამთავრებას მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით აღნიშნავს.

კომბინატი მოწინავე საწარმოა რესპუბლიკაში, და თუ შარშან ხუთწლიანი გეგმა 1 ოქტომბრისათვის შეასრულა, წელსაც არ უღალატებს ტრადიციას, კვლავ წარმატებით დაამთავრებს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. ამაში დიდია ბენო თევზაძის, როგორც პროპაგანდისტის წვლილი.

* * *

კომბინატის მთავარი ინჟინერი ზურაბ ხვედელიანი პატივისცემით გვესაუბრება ბენო თევზაძეზე.

— ამ ბოლო დროს გული აწუხებს, ახლაც შეუძლოთ გახლავთ. რომ იცოდეთ, როგორ გვაკლია, — „ისე ამბობს ინჟინერი, ეჭვს ვერ შეიტანთ მის გულწრფელობაში და განაგრძობს — შარშანაც ავადმყოფობის დროს, ხშირად გვიხდებოდა მისი შინ შეწუხება. იცით? მისი ლექციები რაღაც მაგიურ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ახალგაზრდობაზე. იგი ხშირად ესაუბრება მათ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, კოლექტივის ცხოვრებაში, წესრიგისა და ორგანიზებულობის როლზე — ერთი სიტყვით, — დასძენს ზურაბი, მხედველობიდან არ რჩება კომბინატის არცერთი საჭირბოროტო პრობლემა და მტკივნეული საკითხი. გადაუჭარბებლად გეტყვით, მსმენელებს ძალიან უყვართ იგი.

პირველი მაისის სახელობის რაიონში ხშირად ატარებს ხოლმე ბენო თევზაძე საჩვენებელ ღია მეცადინეობას. იგი 1975 წლიდან რაიონის საშუალო რგოლის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელია. ყველა კარგი წამოწყების მოთავე და სულისჩამდგმელია კომბინატში. ახლა, როდესაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია და ხელისუფლება ბენო თევზაძის ცხოვრება და საქმიანობა ერთი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შრომობდეს იდეოლოგიური დარგის მუშაკი.

იდეოლოგიური მუშაობის შეფასების კრიტერიუმი ხომ ერთი გვაქვს; რამდენად ეფექტიანად და ხარისხიანად სრულდება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყოველთვის ახსოვს გამოცდილ პროპაგანდისტს ლ. ი. ბრეჟნევის ის სიტყვები, რომ იდეოლოგიური საქმიანობის ყველაზე საშიში მტერია უსულგულო და უგუნური ფორმალიზმი, მიდრეკილება შაბლონებისა და ლაყბობისადმი, რომ საჭიროა მთელ აღმშრდელობითს, საინფორმაციო, პროპაგანდისტულ მუშაობას დღენიადაგ მივანიჭოთ ცოცხალი, შემოქმედებითი ხასიათი.

მ. ანასაშვილი.



სურათზე: ბენო თევზაძე.

იდეოლოგიური ცხოვრების ქრონიკა

აიმაღლეს კვალიფიკაცია

გორი. (საკ. კორ.) მუშაობა ... ამთავრა პროპაგანდისტთა გადამზადებელმა ორკვირიანმა კურსებმა. ქალაქ გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, კასპის, ნინოწმინდის, გორის რაიონების პროპაგანდისტებმა, რომლებიც ემზადებიან პარტიული და ეკონომიკური განათლების ქსელში ... ლი სასწავლო წლის დაწყებისთვის კურსებზე მოისმინეს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტების გ. დაბრუნდაშვილის, შ. გოგინაშვილის, ი. ბერძენიშვილის, შ. არსენიძის და სხვ. მოხსენებები იდეოლოგიური შაობის აქტუალურ საკითხებზე.

კურსების მსმენელთათვის მოწყო ექსკურსიები, შეხვედრები მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, შრომითს კოლექტივებთან.

პოლიტიკური პლაკატის ენით

სოხუმი. (საკ. კორ.). სანატორიუმ „სოხუმის“ კლუბ „ალბატროსში“ მოეწყო პოლიტიკური პლაკატის გამოფენა.

კლუბის ნათელ დარბაზში მოფენილია ლამაზად და მიზანმიმართულად გაფორმებული პლაკატები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა საზოგადოების განვითარებისა და წინსვლის გზები, საბჭოთა ... ვრება.

იგი დიდ დახმარებას გაუწევ ... იდეოლოგიური დარგის მუშაკ ... და განსაკუთრებით პროპაგანდისტებს.

გამოფენას დიდძალი დამთვალ ... ლიერებელი ჰყავს.

სურათზე: გამომთვლელი მანქანების საწარმოო გაერთიანება „ელვას“ პროპაგანდისტები ახალი სასწავლო წლის წინ. მარცხნიდან: ა. ბეგიაშვილი, ე. ლიპარტელიანი, გ. კოტაშვილი, მ. დოდვაძე, ვ. მამუაძე და გ. გიორგაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

წარმატებით დავამთავროთ სეზონი

ოდენობა წლითიწლობით მნიშვნელოვნად სჭარბობდა საწარმოთა მაქსიმალურ სიმძლავრეს. ეს იწვევდა ტექნოლოგიური პროცესის დარღვევებს, რასაც შედეგად მოსდევდა საბოლოო პროდუქციის — ჩაის ხარისხის გაუარესება. წელს მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა — განსხვავება შეადგენს ას ტონა ნედლეულს დღეში — წინა წლებზე ხუთჯერ ნაკლებს. ამას მივაღწიეთ, უწინარეს ყოვლისა, იმის მეოხებით, რომ მწყობრში ჩადგა წულუკიძის, ზუგდიდის, წალენჯიხის ახალი ფაბრიკები. გარდა ამისა, რესპუბლიკის ყველა ფაბრიკაში, მათი რიცხვი კი ასამდეა, დადგმულია პროგრესული დიდმწარმოებლური მწყობილობა. ინერგება ახალი ტექნოლოგიური რეჟიმი, ნედლეულის უტარო გადაზიდვა. ახალი ტექნოლოგიის მიხედვით მუშავდება მოკრეფილი მოსავლის თითქმის ნახევარი. უზრუნველყოფილია ფოთლის გრეხის, დაჭრისა და დახარისხების — ჩაის წარმოების ძირითადი პროცესების მაღალი დონე.

წელს მწვანე ფოთლის შენახვაში გამოვიყენეთ კიდევ ერთი სიახლე: მემბრანაფსკიანი კონტეინერები, რომლებიც ეანგბადს ატარებენ და ნახშირორანგს გარეთ უშვებენ. ეს უზრუნველყოფს ფოთლის ცხოველქმედობას და მას „ცოცხლად“ ინახავს ხუთი დღის მანძილზე. ასეთი კონტეინერების შექმნა გადამმუშავებელი საწარმოების, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და მეცნიერების თანამეგობრობის ერთ-ერთი შედეგია. მათი გაერთიანებული მეცადინეობის წყალობით მოგვარდა აგრეთვე ჩაის კონცენტრატისა და საღებრების, გამამხნევებელი სასმელის „ბახმაროს“, ყვითელი ჩაის წარმოება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მწვანე ჩაის დამუშავების ახალი ტექნოლოგიის შესაქმნელად, რომლის მიზანია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მისი გემო და ვიტამინური თვისებები.

ქართული ჩაი პოპულარულია ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მას ყიდულობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ყველა ქვეყანა, აგრეთვე ინგლისი, ნიდერლანდი და ისეთი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა, როგორიც არის, მაგალითად, იაპონია. და მაინც, ჩვენი ჩაის ხარისხს ჯერჯერობით საკმაოდ უყენებენ პრეტენზიებს. ასეთი პარადოქსია: საქართველოში გახარებული ჩაის ბუჩქი ტოლს არ უდებს, მაგალითად, ცეილონის ან ინდოეთისას. ხოლო საბოლოო პროდუქტი — ჩაი — ხარისხით განსხვავდება. იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქართულმა ჩაიმ ჯერ კიდევ ვერ დაიკავა ცეილონური თუ ინდური ჩაის სადარი ადგილი, ტექნოლოგიური პროცესების არასრულქმნილობაა, თუმცა საერთოდ მაღალია საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის დონე. უბედურება ის არის, რომ თანამედროვე მოწყობილობას ზშირად არაკვალიფიციურად ემსახურებიან — არ გვყოფნის სპეციალისტები. აი სულ ახლანდელი ფაქტი: ერთ-ერთ საწარმოში ცეცხლის კალორიფერები შეცვალეს ორთქლის კალორიფერებით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხზე. მაგრამ ახალი კალორიფერების შეუფერხებელი მუშაობის მოგვარება ვერ მოხერხდა. მთელ რიგ საწარმოებში შეიმჩნევა შინაგანი დისპროპორცია: მწვანე ფოთლის გადამმუშავებელი აგრეგატები მეტია, ვიდრე დამახარისხებელი. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა. არ გვყოფნის აგრეთვე საწყობები, სადაც უკვე დახარისხებულ ჩაის შევინახავდით.

ჩაის ინდუსტრიაში „ვიწრო ადგილების“ გაჩენის კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ ჩაის ფაბრიკების დაპროექტების ნაკლოვანებანი, მშენებლობის დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამის შედეგად ხშირად ფუჭდება პროდუქცია. ასე მოხდა, მაგალითად, ამ ზაფხულს ზუგდიდის ერთ-ერთ ფაბრიკაში.

იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ დარგის მუშაობაში არსებული ხარვეზები, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, არ არის საჭირო რაღაც საგანგებო ღონისძიებები ან დიდი დახმარება გარედან. პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ უაღრესად მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა იყოს ყოველ სამუშაო უბანზე, თითოეულ სამსახურებრივ პოსტზე, ყველგან უჭერდნენ მხარს შემოქმედებითს ინიციატივას.

პრაქტიკულად თავისი მოწინავენი ჰყავს ყოველ შრომის კოლექტივს. ისინი მაღალი პროფესიული ოსტატობის, საზრიანობის, გულმოდგინეობის მეოხებით სხვა მუშაკებთან თანაბარ პირობებში აღწევენ საუკეთესო შედეგებს, ამასთან ცხადყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდის როგორ დიდი რეზერვების ამოქმედება ყოფილა შესაძლებელი.

სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი — გამოცდილების განმეორების შესაძლებლობა — გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, როცა თითოეული შრომელი შეძლებს მიაღწიოს ისეთსავე შედეგებს, როგორსაც მოწინავე აღწევს. პარტიული ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელების ვალია უზრუნველყონ შემოქმედებითი ვითარების შექმნა ყველა კოლექტივში, რათა ჩაის ინდუსტრიის თითოეულმა მუშაკმა იცოდეს და გრძნობდეს: თუ გონიერულ ინიციატივას გამოიჩენს, მას მუდამ ამოუდგებიან მხარში ინიციატივის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

სამწუხაროდ, ასეც ხდება: რეკორდების დამყარების ჟინით შეპყრობილი ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების თანხმობით განსაკუთრებულ სამუშაო პირობებს უქმნის მოწინავეებს, ნაკლებად ზრუნავს დანარჩენი მშრომელებისათვის, მათი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას პარტიული ორგანიზაციები უნდა აძლევდნენ ტონს. ახლა საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი წარმატებით დამთავრდეს.

ROCA შენს გამოცდილებას იზიარებენ

საუურადღებო ფაქტია, რომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს განიხილა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პროპაგანდისტის, ინჟინერ-ტექნოლოგის გიორგი კირკიტაძის მუშაობის მეთოდი და პარტიულ ორგანიზაციებს რჩევა მისცა განაზოგადონ მისი საქმიანობა.

რით გამოიჩინა თავი პროპაგანდისტმა? ერთი შეხედვით მას განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ ის არის, რომ მოხერხებულად და ნაყოფიერად იყენებს იდეოლოგიურ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარ არსენალს.

გ. კირკიტაძე მანქანათმშენებელ ქარხანაში 18 წელია პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა. იგი ხელმძღვანელობს აჭარაში ერთ-ერთ პირველ კომუნისტური შრომის საამქროში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სკოლას.

პროპაგანდისტი, რომელსაც ტექნიკურ განათლებასთან ერთად უმაღლესი პედაგოგიური განათლებაც აქვს, უნარიანად იყენებს სწავლების აქტუალურ ფორმებს: პრაქტიკულ მეცადინეობას, რეფერატებს, თვალსაჩინოებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. ასეთი მონდომებით აღწევს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვას, მშრომელებს პირადად ეხმარება სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

მიზანსწრაფული მეცადინეობის შედეგია, რომ ეკონომიკური სკოლის მსმენელები რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ქარხნის მექვაბეთა ბრიგადის ცნობილ თაოსნობას — ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მაქსიმალურად ამაღლონ შრომის ნაყოფიერება და გაზარდონ ფონდუკუგება. ამით უნდა აიხსნას ის, რომ სკოლის მსმენელთა ნაწილმა უკვე შეასრულა 1981 წლის პირადი გეგმა. მსმენელთა შორის რვა რაციონალიზატორია, რომელთა წინადადებების დანერგვის შედეგად ეკონომიკური ეფექტი რამდენიმე ათეულ ათას მანეთს აღწევს.

პროპაგანდისტისათვის მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლები როდია მთავარი. იგი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ზნეობრივ აღზრდას. მისი ინიციატივით საამქროში ეწყობა „კითხვა-პასუხის საღამოები, დისპუტები. საამქროში მინიმალურად შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. იმის ღრმა შეგნებით, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების მძლავრი ბერკეტია, საფუძვლიანად შეისწავლეს ისინი.

სასიხარულოა, როცა შენს გამოცდილებას სხვები ეცნობიან, იზიარებენ და სწავლობენ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თეორიის საკითხები

საზოგადოებრივი აზრი: შესწავლა და ქმედითობა

1.

ჩვენი საზოგადოების განვითარების განუხრელად სდევს თან სოციალური პროგრესის ისეთი ფაქტორის როლის გაძლიერება, როგორიც არის საზოგადოებრივი აზრი. და შემთხვევითი როდია, რომ საზოგადოებრივი აზრის მუდმივი გათვალისწინება სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებულია როგორც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მიმართულება. ამ ბოლო წლებში თითქმის არ ყოფილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის არც ერთი დადგენილება, რომელსაც ამოცანად ჯრ დაესახოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ამა თუ იმ სამეურნეო, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სამართალდამცავი ამოცანების გადასაწყვეტად. მისი ღრმა შესწავლის აუცილებლობა აღინიშნა პარტიის XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში.

საზოგადოებრივი აზრის გამიზნული, სისტემატური ანალიზი აქტიურად წარმოებს საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობაში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრის პრობლემები მარქსისტ-ლენინელებისთვის ახალი იყოს. რა თქმა უნდა, — არა, თვით მარქსიზმ-ლენინიზმის წარმოშობამ შესაძლებელი გახადა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მეცნიერულ საფუძველზე წარგვემართა. მხოლოდ ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის პირობებში გახდა ხალხის ფართო მასების აზრი ისტორიული პროცესის უშუალო ფაქტორი.

მართლაც, მეცნიერული კომუნიზმის უმთავრეს, საკვანძო დებულებებს განეკუთვნება დებულებანი: ხალხის მასების როგორც ისტორიის შემოქმედის შესახებ, სოციალურ-ისტორიულ პრაქტიკაში ცნობიერების აქტიური როლის შესახებ (და თვით საზოგადოებრივი განვითარების მატერიალურ ძალად იდეების გადაქცევის შესახებ), მეცნიერული იდეებისა და მასების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების შეერთების როგორც საზოგადოებრივი შეგნების აღმაღლების პირობის, და ამასთანავე საზოგადოებრივი პროგრესის მიზნების განხორციელების პირობის შესახებ; და ბოლოს, დებულება იმის შესახებ, რომ აუცილებლად ვიცოდეთ საზოგადოებრივი ცნობიერების რეალური მდგომარეობა, საზოგადოების ყველა კლასისა და ჯგუფის ინტერესები, განწყობილება და გრძნობები, რათა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი მივიღოთ. ყოველივე ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანური ჭეშმარიტებანია, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი აზრის სწორ გაგებას. უამისფუძოლოდ მისდამი მიდგომა უკეთეს შემთხვევაში ხდება ზერელე და ცალმხრივი, ხოლო მისი გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში — ფორმალობა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის საზოგადოებრივი აზრის საკითხი ყოველთვის იყო ორგანულად დაკავშირებული მის ძირეულ დებულებებთან. რაც შეეხება მისდამი ყურადღების გაძლიერებას, იგი კანონზომიერად არის შეპირობებული იმით, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ახალი წყობილება სულ უფრო მეტად იძენს მთლიანი სისტემის ნიშნებს — და ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც წინათ წარმოგვიდგებოდა როგორც ცხოვრების დამოუკიდებელი ფაქტი, ზოგჯერ როგორც კერძო გამოვლინება, ახლა უნდა მივიჩნიოთ ასეთი სისტემის რგოლად, რომელიც მის ყველა დანარჩენ რგოლზე ზემოქმედებს.

საზოგადოებრივი აზრში ვლინდება კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივი ცნობიერებისა, რომელიც აკონცენტრირებს ყურადღებას ყოფიერების ამა თუ იმ მხარეზე, პროცესებზე. საზოგადოებრივი აზრის არსი ამ პროცესების ასახვის, შეცნობის სიღრმის მაჩვენებლად გვევლინება, გამოხატავს მათს შეფასებას სოციალური ჯგუფის, კლასის, მთლიანად ხალხის ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც სოციალურ ერთობათა თანფარდობა საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებთან, რომლებიც ვლინდება ჯერ მსჯელობით, შემდეგ კი მოქმედებით, შედარებითი გავრცელებით, ინტენსიურობითა და სტაბილურობით რომ გამოირჩევა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო საზოგადოებრივი აზრის შესწავლასა და გათვალისწინებას ეკიდებიან ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად: „...ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვმართოთ, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეგნებული აქვს“. (ტ. 33, გვ. 357). ასეთია პროლეტარული, სოციალისტური დემოკრატიის პირობებში სოციალური მართვა-გამგეობის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური პრინციპი. სახელმწიფო ორგანოების მიერ მასების აზრის გამოვლენა, გათვალისწინება და გამოყენება დღეს გვევლინება საბჭოთა სახელმწიფოს საერთო-სახალხო ხასიათის რეალიზაციის ერთ-ერთ ფორმად, ჩვენი დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების პირობად.

სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება-რეალიზაციის მონაწილე საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი აზრი გამოხატავს მშრომელთა შეგნების მზარდ დონეს, მათს აქტიურ დამოკიდებულებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა და პროცესებისადმი, მაგალითად, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგებმა მკაფიოდ ცხადყო ჩვენი საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური კომპეტენტურობა, წარმოაჩინა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, საბჭოთა მოქალაქეების „ფართო თვალსაწიერი და მსჯელობის მოწიფულობა“.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი აზრის როლი ზიადაგ მაღლდება. და აქ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ საბჭოთა ადამიანების განათლებისა და კულტურის ზრდას მათი უშუალო ინტერესის არეში (და, მაშასადამე, საზოგადოებრივი აზრის, სფეროში) შეჰყავს ახალი პროცესები და ცხოვრების მოვლენები, დიდი ისტორიული მასშტაბის საკითხები, მეცნიერული და მსოფლმხედველური პრობლემები. მთავარი სულ სხვაა. ჩვენი დემოკრატიული რეალური ხასიათი, ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლება სულ უფრო მეტად არწმუნებს ადამიანებს, რომ მშრომელებს შეუძლიათ გავლენას ახდენდნენ ამ პრობლემების აღძვრასა და გადაჭრაზე. და სწორედ ეს — საზოგადოებრივი აზრის პრაქტიკული ქმედითობა— კიდევ უფრო ზრდის თითოეული მოქალაქის საკუთარი ღირსების გრძნობას, ამაღლებს მის სოციალურ აქტიურობას, და, საბოლოოდ, შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი აზრის როლის შემდგომი გაძლიერება სახელმწიფო და სამეურნეო მართვაში, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის, საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კულტურის განვითარებაში.

2.

სერიოზული შეცდომა იქნებოდა, გვეხმარა ტერმინი „საზოგადოებრივი აზრი“, და არ დაგვეზუსტებინა, სახელდობრ, ვის (კლასის, სოციალური ფენის, ჯგუფის, კოლექტივის) აზრსა და რა კონკრეტულ ისტორიულ პირობებზეა ლაპარაკი. მრავალგზის დამტკიცებულა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა და გამოხატვის, გათვალისწინებისა და გამოყენების, ფორმირებისა და ფუნქციონირების მექანიზმები სოციალიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეს გასაგებიც არის. საზოგადოებრივი აზრი ხომ ვერ იარსებებს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობების სისტემის გარეშე. შეფასებითს მსჯელობას, რომელსაც იგი შეიცავს, კლასობრივი ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ გ. ვ. პლეხანოვი წერდა, რომ საზოგადოებრივი აზრს „ფესვი გადგმული აქვს სოციალურ გარემოში და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკურ ურთიერთობებში...“ (რჩ. ფილოს. ნაწარმ., ტ. 11, მ., 1956, გვ. 178). კაპიტალიზმის დროს ამ ურთიერთობათა არსია უმრავლესობის მიერ უმცირესობის ექსპლოატაცია. ეკონომიკასა და პოლიტიკაში ბურჟუაზიის ბატონობას ემატება — მნიშვნელოვანწილად კი უზრუნველყოფს კიდეც — სულიერი ძალადობა.

ბურჟუაზია ისწრაფვის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, ნერგავს აზროვნებისა და ქცევის ანტიხალხურ სტანდარტებს, რომელთა თავიდან მოცილება უჭირთ ადამიანებს. „ყოველმა ადამიანმა იცის, — წერს დასავლეთგერმანელი პოლიტოლოგი გ. გროსე, — რომ არსებობენ აზრის მძლავრი შემქმნელები, რომლებსაც იგი სიტუაციისდა მიხედვით ეთანხმება, ან — არა, ენდობა, ან — არა. ამ აზრის შემქმნელებთან ყველა უძლურია. მათ ვერ მოიცილებ თავიდან. ყველას აშინებს საზოგადოებრივი აზრის ფალსიფიცირება, გაუკუღმართება, ცალმხრივ წარმართვა. ყველმა იცის, რომ საკონლისა და მომსახურების მწარმოებელი, „ინტერესების ჯგუფები“, პარტიები, პარლამენტები, მთავრობები ცდილობენ საზოგადოებრივი აზრი ჩამოაყალიბონ მათთვის სასურველ ყაიდაზე, განსაზღვრონ და წარმართონ იგი. ყველამ იცის, რომ ასეთ დროს ხშირად არ ერიდ

...ავშრგაბმულობა: ავამაღლოთ ...უშაობის დონე

...ვარტო თბილისში მიმდინარე ...ეთწლეულის მანძილზე იმდენივე ...ელფონი უნდა დაიდგას, რომ...ენიც განვლილ ხუთწლეულში და...ოგა მთელ რესპუბლიკაში — ...ი ათასამდე ნომერი, ამასთან ...თქმის 80 პროცენტი — ძველი ...ფუობილობის ახლით შეცვლისა ...ა არსებული ავტომატური სატე...ეფონო სადგურების რეკონსტ...ქციის გზით. სატელევიზიო ...ელმა მოსახლეობის დაახლოე...ით 95 პროცენტი უნდა მოიცვას. ...ანაც გამოსახულების ხარისხი ...ყვედურს არ უნდა იწვევდეს ...ც თბილისში, არც ქუთაისში, ...ც მესტიაში, ანდა რესპუბლიკის ...ვა მაღალი მთის რეგიონებში.

...ამ და სხვა ბევრი ამოცა...ანს წარმატებული გადაწყვეტის ...ზებზე იმსჯელა საქართველოს ...რ კავშირგაბმულობის მუშაკთა ...ტვის კრებამ, რომელზეც მოხ...ენეა გააკეთა სსრ კავშირის ...ვშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ...შმშინმა.

...ამხ. ვ. ა. შამშინმა ილაპარაკა ...ვშირგაბმულობის სისტემის გა...ვითარების მაგისტრალურ მიმა...ულებებზე საბჭოთა კავშირში ...ი, კერძოდ, საქართველოში. მან ...ნიშნა, რომ ბოლო წლების მან...ძილზე საქართველოში მნიშვნე...ოვნად განვითარდა კავშირგაბ...ულობის ყველა საშუალება. ბევ...ი რამ გაკეთდა მათი მუშაობის ...ესრულის გაუმჯობესებისა და მა...ალეობის და სახალხო მეურნე...ბის უკეთ მომსახურებისათვის.

— ყოველივე მიღწეული, თქვა ...ან, — მოწმობს რესპუბლიკაში ...არი დარგობრივი ბაზის არსე...ობა და საქართველოს კავშირ...ბმულობის მუშაკთა მისწრაფე...ბა, განსატკიცონ და გამრავლონ ...ოვებული წარმატებები.

...ეკრებაზე კრებაზე გამოსულმა ...ართველოს სსრ კავშირგაბმუ...ობის მინისტრმა ვ. ი. კობახი...ან თქვა, რომ საბჭოულ ღონის...ებათა შესაბამისად ამაღლდეს ...ვშირგაბმულობის ყველა დარ...ის მექანიზაციისა და ავტომატი...აციის დონე, დაინერგება პროფე...ციონალური შეთავსება, გადაისინჯება ...ამოშუშავების ნორმები, გაიზრ...დება შრომის ნაყოფიერება.

...ეკრებაზე გამოვიდა საქართველ...ოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავ...ჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

...ეკრების მუშაობაში მონაწილეობ...დნენ საქართველოს კომპარტიის ...ენტრალური კომიტეტის მდივანი ...ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ ...ინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ...ადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქ...ართველოს სსრ კავშირგაბმულო...ბის სამინისტროს პასუხისმგებე...ი მუშაკები. (საქინფორმი)

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი ...საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ...ლებებით:

ორდენით ბანგრძლივი ნაყო...ფიერი მუშაობისათვის და გაზე...თის პირველი ნომრის გამოსვლის ...80-ე წლისთავთან დაკავშირებით ...საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ რე...დაქტორი ამხ. სიმონ მიხეილის ...ძე **მერკვილაძე** დაჯილდოდა სა...ართველოს სსრ უმაღლესი საბ...ჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგე...ლით.

საბჭოთა ორგანოებში ხანგრ...ძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ...და დაბადების ორმოცდაათ წელ...ს დაკავშირებით საქართველოს ...სრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა ...მართველობის მშენებლობის გა...ყოფიერების უფროსი რეფერენ...ი ამხ. რევაზ კარპეს ძე **ტყეშა...ძე** დაჯილდოდა საქართველოს ...სრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი...უმის სპატიო სიგელით.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ



25 სექტემბერი

პოლონეთის ამბები

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციებისაგან იღებს კომუნისტთა, მუშათა წერილებსა და განცხადებებს, რომლებიც ამჟამად და გადაჭრით მოითხოვენ შეაჩერონ ექსტრემისტები, გზა გადაუღობონ კონტრრევოლუციას.

„ანტისოციალისტური და რეაქციული ძალები ამძაფრებენ საზოგადოებრივ დაძაბულობას და ცდილობენ კიდევ უფრო გაღრმავონ იგი, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაუგზავნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის საგოვეოდო კომიტეტის იდეოლოგიური განათლების ცენტრის მარქსისტულ-ლენინური სემინარის „პარტია და მუშათა საქმის“ მონაწილეებმა. — ფმის დამაჯერებლად მოწმობს „სოლიდარობის“ ყრილობის პირველი ეტაპის მუშაობის მიმდინარეობა და გადაწყვეტილებები. ჩვენ გვესმის მეგობრების შეშფოთება, რომელიც გამოხატულია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობისათვის გადაცემულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის განცხადებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი შეთანხმების გზა გადაიქცა რეაქციასა და კონტრრევოლუციასთან შეთანხმების, კანონისა და წესრიგის დარღვევთა წაყრუების გზად, სახელმწიფოსა და სოციალისტური ეკონომიკის რღვევის გზად. ეს ეწინააღმდეგება მუშათა კლასისა და სოციალიზმის ობიექტურ ინტერესებს.

ჩვენ მოვითხოვთ პარტიაში ხორციელდებოდეს ნამდვილად მარქსისტულ-ლენინური გეზი.

ჩვენი პარტიის კომუნისტური ხასიათისათვის, მასში წამოტივტივებული რევიზიონისტული და ლიკვიდატორული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა უწინარეს ყოვლისა მისი რიგების წმენდას მოითხოვს. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთდეს ყოველგვარ ანტისაბჭოურ და ანტისოციალისტურ პროპაგანდას. და საქმიანობას, კანონის მთელი სიმკაცრით სჯიდეს დამნაშავეებს.

კმარა რეაქციისა და კონტრრევოლუციის მომართ დათმობის პოლიტიკა! ასეთმა დათმობებმა თავის დროზე ფაშიზმი გაახელინსუფლეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ახლავე იქნეს მოწვეული პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ახლანდელ სიტუაციაში საქმიანობის კონკრეტულ და ეფექტიან მიმართულებებს განსაზღვრავს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ მტკიცედ დავიცავთ ჩვენი პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინურ ხასიათს, და დავძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას“.

ეგბერტ იანი:

„მოლაპარაკება მშვიდობის ერთადერთი გზაა“

„მშვიდობიანი მოლაპარაკება — რეალური საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ალაგმოს გამაღაბებული შეიარაღება, ახალი ომის წარმოქმნის საფრთხის ერთადერთი ალტერნატივაა“, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს თვალსაჩინო დასავლეთგერმანელმა მეცნიერმა, ჰესენის მშვიდობისა და საერთაშორისო კონფლიქტების პრობლემათა შესწავლის ინსტიტუტის პროფესორმა ეგბერტ იანმა. ამას წინათ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში თბილისის საზოგადოებრიობის წინაშე მან წაიკითხა ლექცია თემაზე: „დაძაბულობის შენელება და განიარაღების დინამიკა ჩვენს ეპოქაში“.

— მეცნიერებას, რომელსაც ვემსახურები, „მშვიდობის კვლევა“ ჰქვია, — თქვა შემდეგ პროფესორმა იანმა, — იგი წარმოიშვა როგორც მშვიდობისმოყვარე ძალების ბუნებრივი საპასუხო რეაქცია ცივი ომის წლებში.

პლანეტის ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მშვიდობის შენარჩუნება არა მარტო ადამიანების საქმეა, — ნათქვამია განცხადებაში, — ნათქვამია განცხადებაში, — ეს ეხება არც სამხედრო ხარჯებს, არც რევანშისტების სუბსიდიებს“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ რიგ მხარეებში ხელისუფალნი ოფიციალურად შეფობენ რევანშისტურ გაერთიანებებს. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში ეს არის ეგრეთ წოდებული „ზემოსილეზიელი გერმანელების სათვისტომო“, რომელიც თავის წესდებაში თავხედურად და აშკარად აცხადებს, რომ მისი მიზანია „ახალგაზრდობის სულიერი მომზადება სამშობლოში დასაბრუნებლად“. განა ღირს იმის თქმა, რომ ამ სათვისტომოს ფიურერები განსაკუთრებით, გაიქტიურდნენ „ოფიციალურ“ „სოლიდარობის“ ექსტრემისტი ლიდერების პროვოკაციული საქმიანობის შედეგად?

ბაღენ-ვიურტემბერგში რევანშისტების დაფინანსება წარმოებს სამხარეო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. რომელმაც მარტო შტუტგარტში არსებულ პროპაგანდისტულ „სამშობლოს სახლს“ მიმდინარე წელს, თითქმის მილიონი მარკა გამოუყო.

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარი სამხრეთ საქსონიის სამხარეო მთავრობის სრული პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით მოაწყვეს განვლილ ზაფხულს ჰანოვერში მრავალთასიანი თავყრილობა ეგრეთ წოდებულმა „სილეზიელებმა“, რომლებიც მოითხოვენ პოლონეთისაგან დასავლეთი მიწების წართმევას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შთანთქმის და „გერმანიის რაიხის აღდგენის“. სამხარეო ბიუჯეტიდან ამ პროვოკაციულ თავყრილობას თითქმის მეოთხედი მილიონი მარკა გამოეყო.

— უკვე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობას არ სურს თავის მიწაზე ნახოს ახალი ბირთვული რაკეტები და აქტიურად იბრძვის მათი განლაგების წინააღმდეგ. მისი აზრით, დასავლეთმა დაავიროვა შეიარაღების მნიშვნელოვანი მარაგი აღმოსავლეთთან წონასწორობისათვის. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს უმცირესობად დარჩენილ უფლებამოსილთ. ეს არის „დიდი უმცირესობა“, რომელზეც დაყრდნობით ახლანდელ ფედერალურ მთავრობას სურს მიაღწიოს თავისი გადაწყვეტილების აღსრულებას.

მაგრამ ეს რომ მოხდეს კიდეც, მცდარი იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ გამაღაბებული შეიარაღების მოწინააღმდეგეთა მოძრაობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამარცხდა. პირიქით, მისი წარმატების გარკვეული ნიშნები უკვე დღეს კარგად ჩანს. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მოგვევლინა როგორც სერიოზული პოლიტიკური ძალა. რომელსაც ქვეყნის ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ უგულებელყოფს.

რა ჯდება რევანშიზმი?

ბონი. რა ჯდება დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი? ამ კითხვას გერმანული სიზუსტით უპასუხებს, მაგალითად, ქვეყნის სამხარეო ბიუჯეტების მონაცემები. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში —7 მილიონი მარკა, ბავარიაში — 7 მილიონი, ჰესენში — 2,5 მილიონი. სულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული ორგანიზაციები წლეულს სახხარეო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტებიდან 40 მილიონ მარკას მიიღებენ. მრავალ მილიონ მარკას იღებენ „მარად გუშინდელნი“ ფედერალური ბიუჯეტიდანაც. ასე ფინანსდება ყოველგვარი რევანშისტული თავყრილობები და პროპაგანდისტული ცენტრები, რომლებიც ევროპის ომის შემდგომი საზღვრების გადასინჯვას მოითხოვენ.

იმოწმებს რა ამ მონაცემებს, დასავლეთ გერმანიის საინფორმაციო სააგენტო „პროგრეს პრესე-აგენტური“ წერს: „წითელი ფანქრის“ პოლიტიკა, რომლითაც ბონში სოციალური საჭიროებებისათვის განკუთვნილ ასიგნებებს კვეცენ, არ ეხება არც სამხედრო ხარჯებს, არც რევანშისტების სუბსიდიებს“.

ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციული ოფიციალურად შეფობენ რევანშისტურ გაერთიანებებს. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში ეს არის ეგრეთ წოდებული „ზემოსილეზიელი გერმანელების სათვისტომო“, რომელიც თავის წესდებაში თავხედურად და აშკარად აცხადებს, რომ მისი მიზანია „ახალგაზრდობის სულიერი მომზადება სამშობლოში დასაბრუნებლად“. განა ღირს იმის თქმა, რომ ამ სათვისტომოს ფიურერები განსაკუთრებით, გაიქტიურდნენ „სოლიდარობის“ ექსტრემისტი ლიდერების პროვოკაციული საქმიანობის შედეგად?

ბადენ-ვიურტემბერგში რევანშისტების დაფინანსება წარმოებს სამხარეო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. რომელმაც მარტო შტუტგარტში არსებულ პროპაგანდისტულ „სამშობლოს სახლს“ მიმდინარე წელს, თითქმის მილიონი მარკა გამოუყო.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ბარბაროსულ ომში, რომელიც ისრაელმა წამოიწყო ლიბანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, სამხედრო თავდასხმა მოახდინეს 60-ზე მეტ ქალაქზე, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქზეც.

სურათზე: ისრაელის ავიაციის მიერ დანგრეული უბანი ბეირუთის დასავლეთ ნაწილში.

უწინარესად ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივობა!

სპორტი კეთილი თანამგზავრია

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის შემდგომი განვითარების შესახებ“ მკაფიოდ მოწმობს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

სპორტი დიდი ხანია გახდა ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. მაგრამ დღეს, როგორც ოფიციალურებისა და აღნიშნული ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე ახალი ამოცანები დგას. სპორტმა და ფიზკულტურამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათი მუშაობის უნარის, შრომის ნაყოფიერების, სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის ამაღლებას, მაღალი ზნეობრივი თვისებების, სულიერი სიმხნევის, ძალის გამომუშავებას.

სპორტსა და ფიზკულტურას დიდ პატივს სცემენ თბილისელი ჩარხშენებლები. ჩვენმა სპორტკლუბმა „გამარჯვებამ“ 20 წლისთავის იუბილე აღნიშნა. ამ დროის მანძილზე ჩვენს მუშებსა და მოსამსახურეებს აოაეოთხელ გაუმარჯვიათ სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. ჩვენთან სპორტული ბაზა დიდი ოდია. მაგრამ მას სრული დატვირთვით ვიყენებთ. საწარმოში მოქმედებს კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, კარატე, ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, მაგიდა ჩოგბურთის სექციები. გვაქვს პირველი კლასის სასროლეთი.

რ. ორაგველიძე,
სპორტკლუბ „გამარჯვების“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების საამწყობო საამქროს ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვიყოთ დამრიგებლები

როცა ვეცნობი „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის შემდგომი განვითარების შესახებ“ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას, უნებურად მახსენდება ბავშვობის წლები. მაშინ ჩვენი სპორტული მოედნები იყო ქუჩები და ტრიალი ადგილები. პირველი ნაბიჯები ფეხბურთში მე და ჩემმა ტოლებმა ჩვენი ხელით დამზადებული ბურთით გადავდგით.

ახლა მოზარდ თაობას ყველა პირობა აქვს ფიზკულტურაში მეცადინეობისა და სპორტში დიდი მწვერვალების მიღწევისათვის, მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველხარისხოვანი თანამედროვე სპორტული ნაგებობანი — სტადიონები, მანეეები. საკურაო ტუბი, ჩოგბურთის მოედნები და სხვ. ისინი ბავშვთა და მოზარდთა განკარგულებაშია. საკმაოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილია კლუბები და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატები, რომელთა ქსელი წლითიწლობით უნდა გაფართოვდეს. ეს კლუბები ხელს უწყობს არა მარტო პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებს აჩიდებს ქუჩას. ეხმარება მათ ჯანმრთელობის გაკაჟებაში. ჩვენი ახალგაზრდობა არა მარტო ყოველმხრივ განათლებული, არამედ სულიერად გაჯანსაღებული. ჯანსაღი, ფიზიკურად გამოწრთობილიც უნდა იყოს. თითოეული ჩვენგანის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს მათ ამ საქმეში.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, „ტყვაენის ბურთის“ რესპუბლიკური კლუბის პრეზიდენტი.

მეცნიერულ საფუძველზე

საქართველოს ფიზიკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს მოსახლეობის ფართო ფენებს შორის მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში, ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ყურადღებით ვსწავლობთ ჩვენს კოლექტივში. იგი ხომ ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვრავს ფიზკულტურული მოძრაობის პრაქტიკაში მასობრივი ფიზკულტურის პრობლემებზე მეცნიერული ნამუშევრების შედეგების დანერგვისათვის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომ მიმართულებებს.

რესპუბლიკის სკოლებში უკვე იყენებენ ჩვენს წინადადებებს ფიზკულტურის კაკვეთილებზე ქართული ხალხური მოძრაობი თამაშობის ფართოდ დანერგვის შესახებ. ეს არის მოსახლეობის დაქვეითებული მოძრაობითი აქტიურობის წინაღმდეგ ბრძოლისათვის ვრცელი მუშაობის ნაწილი. დადგენილებით დასახული მოთხოვნების მიხედვით კვლევა ამ დარგში გაფართოვდება. ჩვენ ვსახავთ ახალ სამუშაოსაც, რომელიც მთლიანად შეესაბამება ახალი დოკუმენტის დებულებებს. შევისწავლით, თუ როგორ ეწყობა საწარმოო ტანვარჯიში, შევიმუშავებთ ახალ ეფექტიან ვარჯიშებს.

ბ. თავართქილაძე,
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.



ᲭᲐᲒᲠᲘᲜᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ზუსტად, თანამიმდევრულად

მეექვსე პარტია პრეტენდენტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იაკე ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო. ჩიბურდანიძემ ამჯერად უფიმცევის დაცვას მიმართა, დასაწყისს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის სადებიუტო რეპერტუარში (ეს თავისებური სისტემა 40-იანი წლების მიწურულში თითქმის ერთდროულად დაამუშავეს იუგოსლავმა დიდოსტატმა პირემა (უცხოურ წყაროებში მას „პირის დაცვას“ უწოდებენ) და საბჭოთა ოსტატმა უფიმცევმა. ბოლო ხანებში მას მიეძღვნა მოსკოველი თეორეტიკოსის ფრიდშტეინის მონოგრაფია. თქმა არ უნდა, ორივე მეტოქე მატჩის წინ გაეცნო უახლეს თეორიულ მიღწევებს — უფიმცევის დაცვა ხომ ამ ოთხთამოძოლაში აუცილებლად უნდა შეგვხვედროდა!

მეშვიდე სვლაზე პრეტენდენტმა აამოძრავა თავისი კიდური პაიკი ლაზიერის ფრთაზე. ასეთი გეგმა სატურნირო პარტიებში გვხვდება, მაგრამ, ეტყობა, უპირატესობის არ იძლევა. სამაგიეროდ, მან ბრძოლა თავიდანვე მკვეთრად გაამწვავა. შავების წინაღე რაიმე სადებიუტო პრობლემა ალარ დამდგარა — მათ სწრაფად დაამთავრეს ფიგურების გავითარება და მოემზადნენ შუა თამაშში რთული ბრძოლისათვის.

მე-15 სვლაზე პრეტენდენტმა პაიკი შეაწყოა და მალე დაფაზე წონასწორობის აღდგენა იმედი მეექმნა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. სიმწვავე არ დაცხრალა ლაზიერებია გაცვლის შემდეგაც, რომელიც ჩიბურდანიძემ. ექსპერტებია აზრით, სავსებით სწორად შესთავაზა მეტოქეს, დ. მალე გამოიკვეთა ჩემპიონის საგონობი პოზიციური უპირატესობა. მთავარი ბრძოლა ლაზიერის ფრთაზე მიმდინარეობდა. პრეს-ცენტრში მიიჩნიეს, რომ 22-ე სვლაზე ჩიბურდანიძეს პაიკით უნდა ეთამაშა ცენტრში, თუმცა არც მსოფლიო ჩემპიონის მიერ არჩეული გეგმის დაწუნება შეიძლებოდა. თეთრების ეტლები განაპირა ლია ხაზზე განლაგდნენ, მაგრამ ამას ალექსანდრიასათვის ბევრი არაფერი მიუცია. ჩიბურდანიძე ზუსტად თამაშობდა და ოთხივე ეტლის გაცვლის შემდეგ გადავიდა მსუბუქი ფიგურების ენდშპილში ზედმეტი პაიკით.

ალექსანდრიას მანევრი 29-ე სვლაზე გარეგნულად ძლიერი ჩანდა. იგი ისწრაფოდა მატერიალური წონასწორობის აღდგენისაკენ და კომბინირებული მექანიკაც შექმნა. ამ მდგომარეობაში მასაც და ბევრ სპეციალისტსაც გამორჩათ მეტოქის შესანიშნავი თვალცვითი მანევრი მეფით, რის შემდეგ ჩიბურდანიძემ თვით შავების ბანაკში შეკრილ მხედარს უკანდასახვეი გზა მოუსპო. ალექსანდრიას მისი დათმობა მოუხდა და მხედარში მხოლოდ პაიკიღა დარჩა. პარტიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მართალია, უპირატესობის რეალიზაციისათვის ჩემპიონს სიზუსტე უნდა გამოეჩინა. ჩიბურდანიძემ ჯერ კუ გაცვალა, რის შემდეგ მეფით და მხედრით შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. პარტიის გადადებაც აზრი ალარ ჰქონდა და 46-ე სვლაზე ალექსანდრიამ თავი დამარცხებულად ცნო. თქმა არ უნდა, წინა პარტიებისაგან განსხვავებით, ჩიბურდანიძე აჯერად ზუსტად და თანამიმდევრულად მოქმედებდა.

ამრიგად, ანგარიში კვლავ თანაბარია — 3:3. მორიგი პარტია, რომელშიც ჩიბურდანიძე თეორიებით ითამაშებს, დღეისათვის არის დანიშნული.

მეექვსე კარტია

ალექსანდრია — ჩიბურდანიძე

უფიმცევის დაცვა

1. d4 d6 2. e4 ∄f6 3. ∄c3 g6 4. ∄f3 ♗g7 5. ♗e2 0—0 6. 0—0 ∄c6 7. a4 e5 8. d5 ∄e7 9. a5 b6 10. a6 c6 11. ♗b7 ♖b8 12. ♗a6 13. ♗a6 cd 14. ed ♕c8 15. ♕e2 ∄f:d5 16. ∄:d5 ∄:d5 17. c3 ∄b6 18. ♗b5 d5 19. ♗e3 ♕c4 20. ♕:c4 ∄:c4 21. ♗c5 ♗fc8 22. b4 ♗f8 23. ♗:a7 ∄d6 24. ∄:e5 ∄b5 25. ♗f1 ♗c3 26. ♗d4 ♗:a6 27. ♗:c3 ♗:a1+ 28. ♗:a1 ♗:b4 29. ∄g4 ∄gf8 30. ∄:h6 f5 31. ∄gf1 ♗d2 32. ∄:f5 gf 33. ∄ge2 ♗g5 34. ∄gd3 ∄gf7 35. ♗e5 ∄g6 36. f4 ♗e7 37. h3 ♗d6 38. ♗:d6 ∄:d6 39. h4 ∄e4 40. h5 ∄f6 41. h6 ∄gf7 42. ∄gd4 ∄g6 43. ∄ge5 ∄g4+ 44. ∄gd5 ∄g:h6 45. ∄gd4 ∄gh5 46. g3 ∄h6.

თეთრები დანებდნენ.

ბ. ბამრეკელი.

41-ე საკავშირო

ივანოვო-ფრანკოვსკში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატი. წილისყრის შედეგად მონაწილენი ასე განლაგდნენ: 1. ტ. რუბცოვა (ლენინგრადი), 2. ტ. მეშჩერინა (მოსკოვი), 3. ე. ხოროვეცი (მინსკი), 4. ი. ოსტრიი (ფრუნზე), 5. ნ. გაფრინდაშვილი, 6. თ. ხუციშვილი, 7. ნ. გურიელი (სამივე — თბილისი), 8. ტ. ფომინა (ტალინი), 9. ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), 10. ი. ლევიტინა (ლენინგრადი), 11. ნ. იოსელიანი (თბილისი), 12. ლ. სემიონოვა (კიევი), 13. ლ. ზაიცევა (მოსკოვი), 14. ე. ალიევა (ბაქო), 15. ე. ეპშტეინი (ლვოვი), 16. თ. მინოგინა (მოსკოვი), 17. ტ. ჩეხოვა (მოსკოვის ოლქი), 18. ტ. პუდკოვა (ფრუნზე).

პირველ ტურში იოსელიანმა დაამარცხა ფომინა, რუბცოვამ — პუდკოვა, ჩეხოვამ — მეშჩერინა, მინოგინამ — ხოროვეცი. ტიტორენკო და ლევიტინა დაზავდნენ. დანარჩენი პარტიები გადადდა.

ფეხგურთის ამბები

გუშინ „ტავრიისა“ და ცსკას მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთერთმეტე ტური. შეხვედრა დამთავრდა... არმიელთა გამარჯვებით — 1:0.

გუშინვე ითამაშეს თბილისის „დინამოსა“ და „ჩერნომორეცის“ დუბლიორებმა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ დუშანბეს „პამირთან“ რომ მოიგო (1:0), მკითხველმა უკვე იცის. ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ქუთაისელმა ა. კვერნაძემ ეს ერთადერთი ბურთი მეტოქეთა კარში გაიტანა შეხვედრის ბოლო წამებზე. მანამდე, 1 წუთით ადრე, დუშანბელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო. რაც შეეხება ლენინგრადის „გეროიას“, მან მიიღო ჯიზაკის „ბუსტონი“ და მატჩი ფრედ (1:1) დამთავრა.

ოცდათექვსმეტი ტურის შემდეგ გთამაშობის ლიდერს — ხარკოვის „მეტალისტს“ 51 ქულა აქვს, მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 44, ნიკოპოლის „კოლოსს“ — 43, ქუთაისის „ტორპედოს“ და კიშინიოვის „ნისტრუს“ — 41-41 ქულა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე გუნდებს 10-10 შეხვედრა აქვთ გასამართავი. „ტორპედოსა“ და „გურიის“ მომავალი მატჩების განრიგი ასეთია: **29 სექტემბერი.** „ტორპედო“ — კიშინიოვის „ნისტრუ“, „გურია“ — ოდესის ასკ; **6 ოქტომბერი.** „ნისტრუ“ — „გურია“, ოდესის ასკ — „ტორპედო“; **10 ოქტომბერი.** ლვოვის „კარპატი“-„გურია“, ივანო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიე“ — „ტორპედო“; **13 ოქტომბერი.** „კარპატი“ — „ტორპედო“, „პრიკარპატიე“—„გურია“; **20 ოქტომბერი.** „ტორპედო“ — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, „გურია“ — ნიკოპოლის „კოლოსი“; **23 ოქტომბერი.** „ტორპედო—„კოლოსი“, „გურია“ — „მეტალურგი“; **30 ოქტომბერი.** სმოლენსკის „ისკრა“ — „გურია“ ვილნიუსის „ჟალგირისი“—„ტორპედო“; **2 ნოემბერი.** „ისკრა“ — „ტორპედო“ „ჟალგირისი“—„გურია“; **10 ნოემბერი.** „ტორპედო“ — „კოსტრომის „სპარტაკი“, „გურია“ — იაროსლავლის „შინიკი“; **13 ნოემბერი.** „ტორპედო“ — „შინიკი“, „გურია“ — „სპარტაკი“.

საბურნირო ორბიტა

აფრისნობა. სევასტოპოლში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი. „ვარსკვლავის“ კლასში ორი დღის ჯამით დაწინაურდა ა. ვოლმერი (ესტონეთი) — 6,0 ქულა. მეორე ადგილზეა ვ. მანკინი (უკრაინა) — 11,7, **მესამეზე — გ. ბიგანიშვილი (საქართველო) — 13,0 ქულა.**

სპორტული ტანვარჯიში. პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში უძლიერესის წოდება მოიპოვა ბელორუსიის ნაკრებმა — 579,25 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსეთის ფედერაციის გუნდი — 572, 90, მესამეზე — უკრაინის კოლექტივი — 565, 15. პირად ჩათვლაში ლიდერობს მინსკელი პაველ სუტი.

მაგიდის ჩოგბურთი. დაიწყო ევროპაელი ლიგის გუნდური ჩემპიონატი. გთავაზობთ პირველ შედეგებს: უნგრეთი-პოლონეთი — 4:3, იუგოსლავია -შვეცია — 4:3, გფრ-ინგლისი — 5:2, ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთი — 7:0.

ჩოგბურთი. 1-3 დეკემბერს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართება ერთობ საინტერესო მატჩი: ევროპა-ამერიკა. ევროპელთა ნაკრებში გამოვლენ ბ. ბორგი (შვეცია, გუნდის კაპიტანი), ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), ა. პანატა (იტალია), ი. ნოა (საფრანგეთი) და მ. ორანტესი (ესპანეთი). ამერიკელთა ნაკრებში ითამაშებენ ჯ. მაკენროი (აშშ, კაპიტანი), ჯ. კონორსი, დ. მაიერი, ვ. გეროულაიტისი (სამივე—აშშ)და გ. ვილასი (არგენტინა).

ჭადრაკი. პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დამთავრდა ზონალური ტურნირი. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ახალი ციკლის საზონათშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიიღეს მარინა პოგორეევიჩმა, მარგარიტა მურეშანმა (ორივე — რუმინეთი); მარია ივანკამ (უნგრეთი) და ჰანა ერენსკა-რაძევსკამ (პოლონეთი). მეორე ზონალური ტურნირი მიმდინარეობს ბელგრადში, წლის ბოლოს კიდევ ერთი ასეთივე შეჯიბრება გაიმართება ლენინგრადში.

კალათბურთი. თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა მსოფლიოს პირველი კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის გმირის ი. გაგარინის პრიზზე. გთავაზობთ მუსამეტურის შედეგებს: ლენინგრადის „სპარტაკი“-პრაღის „სლავია“ — 88:74, სსრ კავშირის ახალგა

პორტრეტი თბილისური შემოდგომის ფერებში

... **ჩვიდმეტი** წლისწინანდელი შთაბეჭდილებები ჯერაც ცოცხალია!.. თბილისელები კვლავ დიდი სიხარულით ელოდნენ მცირე თეატრს, რომელთანაც ბევრი რამ აკავშირებთ. მაშინ ელენე გოგოლევა ფრუ ალვინგსა („მოჩვენებანი") და მურზავეკაიას („მგლები და ცხვრები") თამაშობდა.

... „მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე. საქართველოში არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი და აი რატომ: ხელოვნება, კერძოდ, თეატრალური ხელოვნება, ჩემი სიცოცხლეა. მე მეორედ მაშინ დავიბადე, როცა დიდ ხელოვნებაში მოკრძალებით შევდგი ფეხი. ამ ხელოვნებას კი ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა და კ. მარჯანიშვილმა მახიარეს. ისინი იყვნენ სცენაზე ჩემი პირველი მასწავლებლები, ხელმძღვანელები და მეგობრებიც. აი რატომ ვამბობ, რომ საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა!" — ე. გოგოლევას ეს სიტყვები 1964 წლის 20 ივნისის „კომუნისტშია" დაბეჭდილი.

... სიყვარული სიყვარულად დარჩენილა; დიდ გრძნობას ვერაფერი წაშლის, ახლაც იგივეს ამბობს, ახლაც აღმარებელივით გულზე ხელებმიჭდობილი ლაპარაკობს საქართველოსადმი, ქართველებისადმი, ქართული ხელოვნებისადმი უაღრეს სიყვარულზე.

... გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" დაბეჭდილი 17 წლის წინანდელი ესკიზის გასცოლა გადავწყვიტე. საამისოდ კი უნდა შენახა არა მხოლოდ ის ერთადერთი ნაგასტრული სპექტაკლი, რომელშიც ამჟამად მონაწილეობს ელენე გოგოლევა, არამედ თვით ისიც, რადგან უამრავი კითხვა მიტრიალებდა ფიქრში და თუმც ვეუბნებოდი, რომ დროს გამოვეხმიდა, ზუსტად დამემლო დღეს შეკუბადით ერთმანეთს.

ექიმი ჰყავდა, ცოტა ხნით შეიცადეთ.

— შეუძლოდაა, მიღებით კი მაინც ყველას იღებს. ვინ აღარ იყო — მოსწავლეები, ჯარისკაცები, ჩვენი მსახიობები ხომ აკითხავენ და აკითხავენ, — თქვა სასტუმრო „ივერიის" მორიგემ.

ექიმი რომ გამოვიდა, მსახიობის მეუღლემ, რეჟისორმა სიმონ კამინკამ გვიხმო:

— ოღონდაც ყვავილები არა, ალერგია შეეყარა, — გვთხოვა მან, — არც ფოტორეპორტიორი.

... სამაგიეროდ შემდეგ ალარავითარი შეფერხება...

... თითქოს უცნაური ამბავია — ელენე გოგოლევას აქტიორული ბიოგრაფია ექვსი წლის ასაკიდან იწყება... — დიდა მსახიობები ჰყოლია. უთუოდ ამან განაპირობა სცენისადმი დიდი სწრაფვაც და ადრეული დებიუტიც.

დედასაც ელენე ერქვა თურმე, ვოლიანას გვარით გამოდიოდა ვოლგისპირა ქალაქების — ყაზანის, სარატოვის, ნიჟნი ნოვგოროდის სცენებზე. ქალიშვილიც თან დაჰყავდა. გოგონასათვის თეატრი მეორე სახლად იქცა და მით უფრო შეეთვისა, რომ ყველა სპექტაკლში, სადაც კი ბავშვის როლი იყო, იგი გამოჰყავდათ. ეს დაიწყო ყაზანიდან, როდესაც ითამაშა „რუსულ ქორწილში", ამას საგანგებოდ ბავშვებისათვის დადგმული შარლ პეროს „ზღაპარი" მოჰყვა (ახლაც სიყვარულით იხსენებს „იმ" ცეროდენა ბიჭუნას!). ასეთნაირად, თავიდავე სრული გარდასახვით, ანუ ტრანსფორმაციით დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა.

... შეუძლებელია აუღარდღება არ მიიქციოს მისმა ულამაზესმა ხელის მტევნებმა, მოქნილმა თითებმა. ასეთი ხელები პიანისტებსა და მოცეკვავეებს აქვთ. „მამურეს" უკანასკნელ სცენაში, როცა პეპელასავით აფარფატებული მისი გმირი ღიმილითა, ჭარაგმულად ახსენებს სიკვდილს და ბოლო წუთებს დაუთვლის საკუთარ თავს, იგი ისე შეათამაშებს თითებს, თითქოს სიმებს შეახლო, — ერთი, ორი, სამი... და უზღვავი არფის სიმები წყდება...

... ასე ვიფიქრე: — უთუოდ არფაზე უკრავდა-მეთქი...

— ვუკრავდი და კარგი მოცეკვავეც გახლდით, — არჩევანიც დიდი მქონდა — კონსერვატორია, საბალეტო სტუდია. შინაურებს კონსერვატორიისაკენ უფრო უწევდათ გული, მე კი ბალერინობა მიტაცებდა და დღემდე საბალეტო ხელოვნების ტრფიალი ვარ.

მაინც დედის გზას დაადგა. მცირე თეატრის სახელგანთქმულმა მსახიობმა და რეჟისორმა სუმბათაშვილ-იუჟინმა დალოცა ფილარმონიის დრამატულ სასწავლებელში მისული ელენე გოგოლევა. იდგა მის წინ მაღალი, მშვენიერი ასული და გულისმიერი ხმით ამბობდა „ორლეანელი ქალწულიდან". ალბათ, ტრავესტის ამპლუაშაც განაპირობა ის, რომ საგამოცდოდ ქალაბიჭური როლიდან შეარჩია ნაწყვეტი; ალბათ არ უმტყუნა!

იგი იმათ შორის აღმოჩნდა, ვისაც შორიდან ეთაყვანებოდა, სცენაზე ენახა, ან ქება-დიდება სმენოდა მათი. მარტო ერმოლოვას და იუჟინის სიახლოვე რად ღირდა!

ასე შეემატა 1918 წელს რუსული დრამატული ხელოვნების ამ ძველ სამჭედლოს კიდევ ერთი მშვენება — ელენე გოგოლევა, რომლის დებიუტი შეესპირის „ვენეციელ ვაჭარში" შედგა. პირველი როლი — ჯესიკა, პირველი პარტნიორი — სუმბათაშვილ-იუჟინი (შეილოკი). — მეორე როლი სოფიო — გრიბოედოვის კომედიაში „ვაი ჭკუისაგან", — აქაც ისევ იუჟინი — ფამუსოვი.

— როგორი პარტნიორი იყო, როგორი მოძღვარი?

— ძალზე საინტერესო, ძალზე გულითადი და იმედიანი. არ დამავიწყდება განცდები სოფიოსთან დაკავშირებით. მეჩვენებოდა, რომ ცუდად, არასწორად ვთამაშობდი, რადგან ჩემი სოფიო ძლიერი, გონიერი გოგონა იყო და უყვარდა კიდეც ჩაცკი... ვშიშობდი, ეს ხომ ტრადიციულად გაუმართლებელია-მეთქი, და სწორედ სუმბათაშვილ-იუჟინს გამოვუტყდი, უარი უნდა ვთქვა ამ როლზე, რადგან დავიწყნენი, სწორად არ ვთამაშობ-მეთქი.

— სულიკო, — მომიგო მან ალერსიანად, — ერთში გეთანხმები. შენამდე, მართლაც, არავის უთამაშია სოფიო ასეთნაირად და მაინც სწორედ ამ სიახლის გამო ეს მცირე თეატრის ტრადიციებს გაგრძელებია და არა ლალატი! ინტუიცია თუ სხვაგვარ ახსნას გიკარნახებთ, ეს უკვე თქვენი ინდივიდუალური პარტიორული საიდუმლოებაა და გირჩევთ ასევე განაგრძოთ. ორი ჩაცკი მყავდა — ოსტუჟევი და სადოვსკი. ორივე ჩაცკი ძალზე ბედნიერი იყო, რომ მიყვარდა ისინი. ეს ფარული სიყვარული და სინანული მაშინ მძღვნედებოდა, ჩაცკი რომ ამბობდა თავის მონოლოგს. აი, მაშინ გრძნობდა ჩემი სოფიო, რა შეცდომა იყო მოლჩალინთან ურთიერთობა, მაშინ ხვდებოდა, თუ ვის კარგავდა!.. ამიტომ მოიწონა იუჟინმაც ეს ჩემებური ქარგა.

— ყველაზე დიდხანს, რომელი გმირის ცხოვრებით ცხოვრობდით?

— ყველაზე დიდხანს ფრუ ალვინგით და მურზავეკაიათი.

— პირველი თბილისური გასტროლი?

1925 წელს ჩვენი თეატრის მცირე ჯგუფთან ერთად ჩამოვედი. მაში წარმოდგენა ჩამოვიტანეთ, მათ შორის პირველი საბჭოური პიესა — კ. ტრენევის „ლუბოვ იაროვაია", რომელშიც პაპოვას ვთამაშობდი. მახსოვს, ერთ სპექტაკლში ვცეკვავდი და თბილისელებმა ერთხელ „ბისზეც" კი გამომიძახეს...

ნიჟნი, გრძნობით, სიმართლით მდიდარმა მსახიობმა თავიდანვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება და ერთმანეთს ემატებოდა საინტერესო, შთამბეჭდავი როლები: ტატიანა — გორკის „მოხუცში", მარინე მნიშეკი — პუშკინის „ბორის გოდუნოვში", მარიამი — ა. ტოლსტოის „ივანე მრისხანეში", პრასკოვია — პლატონოვის „არაკეევშინაში", ლარისა და აქსიუშა — ა. ოსტროვსკის „უმზითვოში" და „ტყეში", ბარბალე — „აზნაურთა ბუდეში" ტურგენევის მიხედვით.

მსახიობის შემოქმედება მარტო ეროვნული რეპერტუარით ხომ არ შემოიფარგლება, მაგრამ ელენე გოგოლევას აქტიორულ პალიტრაში რუსულმა ფერებმა, რუსულმა ხასიათმა ამძლავრა. ამ ხასიათმა თავი იჩინა და ისახეკი თანამედროვე რეპერტუარშიც, როცა განასახიერა თითქოსდა მისი ორეული — ფრონტული თეატრის მსახიობი გორელოვა ლავრენევის პიესაში „გაუმარჯოს, ვინც ზღვაშია", ანდა კლავდია ლავროვა რომაშოვის „დიდ ძალაში" და რაიკომის მდივანი პოლოზოვა სოფრონოვის „მოსკოვურ ხასიათში". სწორედ ამ როლის შემდეგ მიენიჭა გოგოლევას ახალი ჯილდო — იგი სამგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

... თუ დარჩა ვინმე სანატრელი დღეს უკვე სოციალისტური შრომის გმირად აღიარებულ მსახიობს, რომელსაც სამსამდე ქალის ბედი გაუზიარებია, განუცდია, გაუთავისებია?!

... დარჩა... ერთი მათგანი ნასტასია ფილიპოვნაა დოსტოევსკის „იდიოტში", თუმცა ადრე გასტროლებზე მითამაშია, მათ შორის თბილისშიც, მაგრამ ძირითად სცენაზე მსურდა მეთამაშა ივანე როლი; ეს ნატვრა არ ამიხდა. ვოცნებობდი მარია სტიუარტზეც, ზეინაბზეც. ახალგაზრდობაში სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატში" რეკაიას ვთამაშობდი, გულში კი ზეინაბობა მსურდა. ჩემი სიმფონიის ასაკში, სამწუხაროდ, „ღალატი" აღარ იდგმებოდა, დრო კი გარბოდა. დიდად გავიხარე იმ ამბით, რომ ახლახან ქუთაისის თეატრში დაუდგამთ „ღალატი" და წარმატებაც ჰქონიათ. კიდევ ერთხელ ვიგრძენი სინანული იმის გამო, რომ ჩემი ზეინაბობა ახლა უკვე გვიანდაა.

... ზეინაბზე ფიქრი იმ ოთახში მომწოფდა, რომელიც „ღალატის" ავტორისგან დარჩა სამემკვიდროდ ელენე გოგოლევას.

— მართალია, იუქინისეული ავეჯი ბახრუშინის სახელოვნების მუზეუმში წაიღეს, მაგრამ იმდაგვარივე დიდანი და სავარძლები შეკიძინეთ და ისევე დავდგი, როგორც მის დროს იყო, სარკეც იგივეა, მისი სურათიც იქვეა, ჩემთვის ეს საფარეშო ოთახი ყველაზე დიდი რელიკვიაა... მე ვაღელვებს ყველაფერი, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული მოსკოვში თუ აქ. აქ ყველაფერი მშობლიურია, ყვირფასი და საყვარელი, მრავალი მეგობარიც მყავს. მიყვარს ყველაფერი ქართული, ცხადია სუფრაც, მაგრამ ახლა ყველაფერს ამიკრძალეს. წამოსვლის წინ იმდენად ცუდად ვიყავი, საავადმყოფოში მაწვენდნენ, მაგრამ არ შემეძლო მეფიქრა საკუთარ თავზე, როცა საქართველო მელოდა! მეც მომიხაროდა აქეთ.

სცენაზე მისი ავადმყოფობა ძალას კარგავს! ჟან სარმანის ორმოქმედებიან პიესაში იგი 196 წლის სელინა მურეს თამაშობს. ალბათ, ეს ერთადერთი როლია და თანაც ქალისა, საუკუნეს რომ აჭარბებს, მაგრამ რამხელა იუმორი, ექსპრესია ჩაუქსოვია ავტორს ამ სახეში და რა არტისტული გზნებით, შინაგანი თუ გარეგნული მომხიბლაობით, რა ორნაზარი ხერხებით წარმოგვიდგენს ამ ელეგანტური, კეთილი და ხუმარა ფრანგი ქალის სახეს! ელენე გოგოლევა, რომლის გმირსაც მურეს გვარის დიდ-პატარა წარმომადგენელი სიყვარულია მამურეს ეძახის. აი, აქ თამაშობს მამურეს ხელები, ამ მოძრაობებიც კი. მეღაღადებენ მისი აზარტული ბუნება, და გესმით ჰმა უბერებელი გულისა. თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავს, ღიმილშიც ძველებური ჯადოსნური ძალაა!

— ყოველ სპექტაკლზე ისე მიმიხარია, თითქოს მართლაც დღეობაზე მივდიოდე, ამბობს მსახიობი (პიესაში მამურეს 100 წლის იუბილეს უხდის შთამომავლობა). გოგოლევასეულ მამურეში ისეთივე განუმეორებელ თანადგომრობას ვხედავთ, როგორსაც დრეიცეს „დაბრუნებაში" იგორ ილინსკის მიერ გამოძერწილ ლევ ტოლსტოის ხატში.

— თქვენ გამოძერწეთ სარმანის ეს პიესა თუ რეჟისორმა შეგოგთავაზათ?

— თვით რეჟისორმა. მანვე ითარგმნინა საგანგებოდ კ. კუპრინას. სხვათა შორის, ეს ბორის ლვოვ-ანახინის პირველი დადგმა ჩვენს თეატრში და არა მარტო ჩემთვის, ყველა მონაწილისათვის დღესასწაულად იქცა, თავიდან ყველას შეეშინდა ამ როლისა, მე კი პირიქით, ძალიანაც შემიყვარდა ეს ოხუნჯი მოხუცი და აგერ მესამე წელია, რაც ვთამაშობ. დღესდღეობით მხოლოდ და მხოლოდ მამურე არსებობს ჩემთვის და ხანდახან „ვაი ჭკუისაგან" (ხლოსტოვა).

1933 წელს კ. მარჯანიშვილმა მცირე თეატრში რომ დადგა შილერის „დონ კარლოსი", თავისებურად განუმეორებელ და გაიაზრა ეს დრამა. თავისებურად დაინახა პრინცესა ებოლის როლიც. თუ ადრე ამ პიესის ქალთა კრებულში უმთავრესი დედოფალი იყო, ახლა ებოლის მიანიჭა რეჟისორმა პირველობა, — ებოლი ტრაგიკული სულის შერწყმაა, მას უნდა ჩამოვაცილოთ ადრინდელი დადგმების შტამპი — გარყვნილება და უხამსობა, რასაც ხაზს უსვამდნენ, და ებოლის ტრაგიკული სული წამოვწიოთო...

ალღოიანმა მსახიობმა ჩინებულად შეასრულა ამოცანა — მართლაც ტრაგიკულ პიროვნებად აქცია ებოლი.

ეს ტრაგიკული სულისკვეთება მასში და მის პარტნიორებში უფრო გამწვავებულა პრემიერაზე, რომელსაც ბრწყინვალედ ჩაუვლია, მაგრამ უმარჯანიშვილოდ... იყო მხოლოდ მისი პორტრეტი, რომელიც მე-2 მოქმედების შემდეგ ჩამოუშვიათ და ასე დაუტოვებიათ ბოლომდე.

... მახსოვს, კოტე მარჯანიშვილს ასი წლის თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ჩამოსულმა გოგოლევამ რა რიხიანად განაცხადა მაღალი ტრიბუნიდან, ბევრი რამ, რასაც ახლა ვხედავთ ხოლმე ეკლესიებ და ნოვატორობად ითვლება, ძირითადად კოტე მარჯანიშვილს სასწაულთმოქმედებრივი შემოქმედებიდან გამომდინარეობს, ეს ის იყო მრავალგვარ სიახლეთა წამომწყები-გამომგონებელი და ეს არ უნდა დავივიწყოთო.

... ეს რომ გავახსენე, თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვა. — დიახ, სრულიად ახლებური ხერხებით მუშაობდა. „დონ კარლოსი" უმშვენიერესი დადგმა იყო, გატაცებით ქმნიდა და ჩვენც თავდავიზოგავად ვმუშაობდით, მართლაც დაუშურველად ხარჯავდა თავს, ვახახიშვილის ქალსაც არ იშორებდა, ხან რას შეუკვეთავდა, ხან რას და ასე, მუსიკის ფონზე უფრო საინტერესო და ემოციური ხდებოდა რეპეტიციები. პრინცესა ებოლის როლის ასეთი აელვარება კოტეს წყალობაა. ებოლის განწმენდის აზრი ალბათ ჩემმა პიროვნებამაც უკარნახა და მეც ასე ვიწმე, რომ ებოლი გაიძვერა როდია, დედოფლისადმი ალსარებაც ხომ ამის საწინდარია. მარჯანიშვილის ახლებურ მუშაობაში განსაკუთრებით გაგვიტაცა სინთეზური მსახიობის პირობამ. როგორც გამოგიტყდით, კარგად ვუკრავდი და ვცეკვავდი, ოღონდ არასოდეს არ მიმღიცხია, ებოლიმ უნდა იმღეროსო! სახტად დავრჩი, ვემუდარებოდი — ვერა, ვერ ვიმღერებ, ხალხი გაგვიქცევა, რა სასიმღერო ხმა მე მაქვს-მეთქი. არადა, არ გადათქვა, რომანსიც შემირჩია და მასწავლებელიც... ალექსანდროვის ამ რომანსს შემდგომ დიდხანს მღეროდა სახალხო არტისტი მარი მასქაკოვა.

— ასე ამამღერა კოტე მარჯანიშვილმა, — გაეცინა ელენე გოგოლევას.

ქალზე, ქალურ შრომა-შემოქმედებაზე მისი თვალსაზრისი მაინტერესებდა, და როცა ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა, ჯერ ერმოლოვას უდიდესი ღვაწლი გაიხსენა, შემდეგ ვერიკო ანჯაფარიძეზე ილაპარაკა ბევრი.

— დღეს ვერიკო ჩემთვის იგივეა, რაც ადრე ერმოლოვა იყო, რომელზეც ვლოცულობდი. ისევე განუმეორებლად, მესახება, ისევე ვაღმერთებ როგორც პიროვნებას, როგორც ხელოვანს. გასაოცარი მსახიობია! ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება „ურიელ აკოსტა", კოტეს ყოველი მიზანსცენა, ვერიკოს ყოველი მოძრაობა თვალნათლივ მახსოვს. მერეც გამოიცა ვერიკომ, მოსკოვში შემოქმედებითს საღამოზე ნაწყვეტები რომ ითამაშა „მაკბეტიდან", „მარგარიტა გოტიედან", „ხეიბებიდან"... განსაკუთრებით შემძრა მისმა ეუხვნამ „ხეიბში", ხოლო ლედი მაკბეტს იქვნეულად დავიწყე ცქერა, როგორ მე ვთამაშობდი. დაასრულა თუ არა სცენა პირველი მოქმედებიდან, მე შუბლზე შემოვიკარი ხელი და შევიცხადე: ბეჩავო ჩემო თავო, აი, როგორ უნდა გეთამაშა ლედი მაკბეტის ეს სცენა, როგორ ცდებოდი თუ რომ!

... თეატრი და პოეზია რამ გაყო... მსახიობს თავისი სანუკვარი ალმანახი აქვს, რომელიც გაიზეპირა მისმა დიდმა მრევლმა და მაინც მუდამ გულისყურით ისმენენ ხოლმე მისი პოეზიის საღამოებს, რომლებშიც ლერმონტოვის ლექსები ჟღერობს.

— ქალთაგან? — ქალთაგან მარგარიტა ალიგერისა და... ჩემს შემდგომ კითხვის დასწრო:

— ძალიან მიყვარდა „ვეფხისტყაოსანი" და ოდესღაც კარგადაც ვკითხულობდი ბალმონტისეულ შესავალს და ნესტან-დარეჯანის წერილს... აი, ვიმღერე რუსთაველი, ლოცვანივით წარმოთქვა მან. კოტა ხნით დაფიქრდა... თითქოს გულში რაღაცამ უჩხვლიტა... და განაგრძო:

— თანამედროვეებიდან იოსებ გრიშაშვილის პოეზია მომწონდა, ახლა კი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებამ გამიტაცა, განსაკუთრებით „მარადისობის კანონმა". თავაუღლებელ წავიკითხე წიგნი და მოუთმენლად ველი ფილმს, რომელსაც იღებთ თურმე.

... აქ ყველაფერი მშობლიურია, იმქორებს ელენე გოგოლევა, ყველაფერს ნახავ მენატრება; ჯერ კი არსად ვყოფილვარ, მიუხედავად ასეთი კარგი შემოდგომური ამინდებისა. უთუოდ მოვინახულებ ძველ თბილისს, უთუოდ ავალ თბაფშინდაზე, თაყვანი რომ ვცეს გრიბოედოვს, მარჯანიშვილს და ყველას, ვინც იქ განისვენებს... ... და მაღალი, უბრალო, თეთრშარფიანი, ცისფერთვალება ჭაღარა ქალი დედამშვილურად მემშვიდობება... გოგოლევა თბილისური შემოდგომის ფერებში...

ნანა ღვინეფაძე.



...ამ მცირე ბარათში, რომელიც გოგოლევამ რედაქციას გამოუგზავნა, გამოთქვა თაყვანისცემა ქართული კულტურისა. და ხელოვნებისადმი, იმ ხელოვნებისადმი, რომლის სასწაულმოქმედებას მარჯანიშვილმა მაზიარო...

ქართველ მეცნიერთა სტუმრობა

„ბუსურგებთ ... ქართველ მეცნიერებს ახალ ... წარმატებებს. საზღვარგარეთის მრავალ სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნებული თქვენი სტატიები კარგად არის ცნობილი პრობლემების აქტუალობით", — სწერს ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტუმართა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვეს ქრომატოგრაფიისა და ანალიზური ქიმიის დარგის თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერებმა — ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტ ზლატკისმა (ტეხასის შტატი) და დოქტორმა ლესლი ეტერიმ („პეტროკინ-ელმერის" ფირმის წამყვანი სპეციალისტმა).

ამერიკელმა მეცნიერებმა წაიკითხეს ლექციები ბიოქიმიაში და მედიცინაში ქრომატოგრაფიის გამოყენების, გარემოს კვლევის, ანალიზის ახალი ქრომატოგრაფიული მეთოდების შესახებ. (საქინფორმი).

მეგობრობის მისია

ბრატისლავაში საგასტროლოდ გაემგზავრნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები — რეს პუბლიკის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ კახიძე და სახელგანთქმული მეგობოლოსი მარინე იაშვილი.

ბრატისლავის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დირიჟორი შეასრულებს ბეთჰოვენის მესუთე სიმფონიას და ჩაიკოვსკის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტუმართა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვეს ქრომატოგრაფიისა და ანალიზური ქიმიის დარგის თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერებმა — ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტ ზლატკისმა (ტეხასის შტატი) და დოქტორმა ლესლი ეტერიმ („პეტროკინ-ელმერის" ფირმის წამყვანმა სპეციალისტმა).

ამერიკელმა მეცნიერებმა წაიკითხეს ლექციები ბიოქიმიაში და მედიცინაში ქრომატოგრაფიის გამოყენების, გარემოს კვლევის, ანალიზის ახალი ქრომატოგრაფიული მეთოდების შესახებ. (საქინფორმი).

თბილისი: ნუცუბიძის პლატოს დასახლების საერთო ხედი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

თვითმყოფი საქმეოს იდუმალება

საბჭოდრამატ კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატს გია ნადარეიშვილს 80 წელი შეუსრულდა. დღეს ცხაკაიაში, სადაც სწავლობდა ბომბავალი დიდოსტატი, პირველად ეზიარა საეტიუდო ხელოვნების საიდუმლოებას და სადაც საბჭოდრამატ კლუბი, მისი საყოველთაოდ აღიარებული ეტიუდის დარად, „მხედრულის" სახელს ატარებს, რაიონის ხაზოგადოებრიობა მას შეხვედრას უწყობს. ვბეჭდავთ იუბილართან საუბარს, რომელიც მკითხველს გააცნობს მის შემოქმედებითს ლაბორატორიას.

საერთაშორისო დიდოსტატი.
საერთაშორისო არბიტრი.

საერთაშორისო საბჭოდრამა ფედერაციის საბჭოდრამ კომპოზიციის მუდმივი კომისიის წევრი, ექსპერტი.

თბილისში გამართულ საბჭოდრამ კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესის ერთ-ერთი თავკაცი.

მრავალი საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური კონკურსის თაოსანი, მონაწილე და გამარჯვებული.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

შვიდი საბჭოდრამ მონოგრაფიის ავტორი.

ძალზე ბევრი ხომ არ არის ესოდენ ამაღლებული ტიტულები ერთი ადამიანისათვის?

და მაინც საჭიროა დავუმატოთ: უაღრესად კეთილშობილი, მოყვასი, თავმდაბალი.

ასე სახელოვნად ეგებება ცნობილი საბჭოდრამ კომპოზიტორი და საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკის ნერვული **გასაყოფილების** გამგე, ქალაქის მთავარი ნეროპათოლოგი გია ნადარეიშვილი დაბადების სამოცი წლის თავს.

მას ხშირად ნახავთ ღრმად ჩაფიქრებულს, და არა მარტო საბჭოდრამ დაფასთან. ამ დროს მისი ცხოვრებისეული რომანტიკულობიდან აღარაფერი რჩება და მაძიებელ გონებას ერთიანად აპყრობს საბჭოდრამ კომპოზიციის იდუმალი ბუნება.

— **საყოველთაო აღიარებით, მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა, რითაც ჯადრამ მათემატიკის მეცნიერებას ენათესავება, ყველაზე მკაფიოდ თვის ჩრეს სწორედ საეტიოდ ხელოვნებაში. აქ მართლაც ადარ რჩება ადგილი რამე ბუნდოვანებისა და ორაზროვნებისათვის, მოგება ან ყაიმს განაპირობებს ერთადერთი გზა და ყველა განზტოება ამ მთავარი მიმართულების ეშმარიტებას ადასტურებს. რას იტყოდით ამის შესახებ, როგორც პრაქტიკოსი შემოქმედი?**

— დიახ, სათამაშო პარტიისაგან განსხვავებით, სადაც ჩანაფიქრი ნაკლებად კარგავს თავის მიმზიდველობას, თუნდაც რომ მიზნისაკენ მიმავალი რამდენიმე გზაც არსებობდეს, ამჯერად ყოყმანი გამორიცხულია. საბჭოდრამ დაფაზე ოსტატი ზოგჯერ სწორავს ზოგად მოსაზრებათა საფუძველზე, ანდა გაურბის გადამწყვეტი სვლის გაკეთებას და ამჯობინებს იმოქმედოს პრინციპით: „მეექარა აღსრულებაზე უფრო საშიშია". სწორედ ამ ადგილზეა ეს ბალანსი. ეს ბალანსი ... ეს ... ეს ... ეს